545/3
907

საყმაწვილო ნახატებიანი
ჟურნალი

№ XI

ნოემბერი

1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

ჟურნალ „ჯეჯილისა“

I მაიმუნების მეჯლისი (სურათი) 2
II მეფე კარიუს. ფინური ზღაპარი ალ. სარაჯიშვილისა . 3
III იშვიათი მეგობრობა, (თარგმანი) ანიკოსი 7
IV შემოვიკალ! ესკიზი.—ი. ევდოშვილისა 9
V ჭაბუკი გმირი, ფრანგულით—ტასოსი 14
VI წმინდა სამოლის სამეფოში, თარგმანი—ან. ამილახვარისა. 17
VII ქეთუნა და ჩიტი—ეკ. გაბაშვილისა 22
VIII როგორ ზრდიან პირუტყვები თავიანთ შვილებს—. ა. ფ—ვასი 26
IX წვრილმანი: ანდაზები, შარადა, რებუსი და სხვა . . 29

—

X ვახტანგ გორგასლანის უკანასკნელი დღე, ისტორიული პოემა.—ილ. ჩ-ბირელისა. 31
XI განთიადი ახალი ცხოვრებისა,(დასასრული)—ნ. კასრაძისა 38
XII საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან—ს. გორგაძესი 47
XIII დევთა ბრძოლა, ლეგენდა—თ. კანდელაკისა 55
XIV ღარიბების მეგობრები (დასასრული) ივ. გომართელისა. 62
XV მსოფლიო ისტორია, ერნესტ ლავისისა ფრანგულიდან —ალ. სარაჯიშვილისა 69

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჯეჯილები

საყმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო
დაპურდი, გახდი ყანაო!..
ი. დ.

№ XI

ნოემბერი, 1907

ფელიფადი მეთვრამეტე

ტფილისი
ელექტრომბეჭდავი ამხ. „შრომა“, მიხეილის ქუჩა, № 65
1907

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მაიმუნების მეჯლისი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მეფე კარიუს.

(ფინური ზღაპარი)

„მეფე მოკვდა! გაუმარჯოს მეფესაო!“ ასე იძახდა ხალხი იმ ქვეყანაში, საცა სცხოვრებდა კარიუს მეფე. კარიუსის მამა, მოხუცი მეფე, ის-იყო მომკვდარიყო და იმისი შვილი მეფედ აერჩიათ, თუმცა ჯერ სულ ახალგაზდა იყო.

1904
1904

როცა კარიუს მეფე გვირგვინ-ნაკურთხი ეკლესიიდან სამეფო დარბაზს მიბძანდებოდა, ქუჩაში ხალხი მუხლ-მოყრილი ეგებებოდა და თაყვანსა სცემდა. სასახლეში კი კარის კაცნი კიბეზე ჩამწკრივებულნი დახვდნენ და ისე დაბლა უკრავდნენ თავსა, რომ სულ თავების ლაწილუწი ისმოდა.

მეტის-მეტად ეამა მეფეს ამოდენი პატივი. შევიდა თუ არა თავის ოთახში, მაშინვე გასცა ბძანება, რომ მის გამოსვლაზე ყოველთვის კარის კაცნი კიბეზედ ჩამწკრივებულიყვნენ და თავი დაეკრათ. ხალხი კი ქუჩაში გამოსულიყო და მუხლ-მოყრილს მეფისათვის თაყვანი ეცა.

საქართველოს პარლამენტის ეროვნული
საქართველოს ეროვნული

ეროვნული ბიბლიოთეკა

იმ საღამოს დიდი ჩურჩული შეიქნა კარის კაცების ოთახში. ზოგი ერთს ამბობდა, ზოგი სხვას, მაგრამ ყველას ერთი სურვილი ჰქონდა გულში, მეფის ამბარტავნობა თავიანთ სასარგებლოდ გამოეყენებინათ.

ბოლოს გადასწყვიტეს, ყველას ბირფერობის ბალახი ეჭამათ, რომ ხმა გასწვრილებოდათ და ნაზი და საამო კილოსი გახდომოდათ.

მეორე დღეს, მეფე რომ კიბეზედ ჩამოდიოდა, კარის კაცნი საფეხურებზედ აქეთ-იქით ჩამწკრივებულნი მეფეს თავს უკრავდნენ და ქებას უგალობდნენ. კარიუს მეფეს ისე ეამა ეს ქება, რომ შედგა და ეურს უგდებდა. მეტადრე მოძახილი მოეწონა:

მეფეე ძლიერო და დიდო!
დიაღამც მაღლა ბძანდები,
მაგრამ ღირსი ხარ ჯდომისა
მაგაზედ უფრო ზევითა!

ასე გალობდნენ კარის კაცნი და მათი მღერა მეფისათვის ბულბულის გალობაზედ უამესი იყო. ასეთი საკვირველი და უცხო ძალა ჰქონია თურმე ბირფერობის ბალახსა.

მეფე რომ შინ დაბრუნდა, ბძანა, სამეფო ტახტი დარბაზის ბანზე დაედგათ. იქ უფრო მაღლა ვიჯდები და იქიდან უფრო განდიდებული და ძლიერი გამოვჩნდებიო, ეგონა მეფეს.

მეორე დღეს მეფე ბანზე დადგმულს ტახტზე რომ

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დაბძანდა, კვლავ მოესმა გალობა კარის კაცებისა, რომელნიც კარზე შეკრებილიუვნენ დიდებულის მეფის საქებრად. ახლა მათი გალობის კილო გუშინდელზედ უფრო ნაზი და საამო იუო, მაგრამ მოძახილი ისევ ის იუო:

მეფევ ძლიერო და დიდო!
დიადამც მაღლა ბძანდები,
მაგრამ ღირსი ხარ ჯდომისა
მაგაზედ უფრო ზევითა!

მეფეს სისარულით გული აუტოკდა, მაგრამ ლექსის მოძახილი რომ მოაგონდა, დაღონდა და აქეთ-იქით ცქერა დაიწუო. მოჰკრა თუ არა თვალი მაღალს საძრეკვლოს, სახე მაშინვე გაუბწყინდა. როცა მეფე თავის ჰალატში ჩაძობძანდა, გასცა ბძანება, საამეფო ტახტი საძრეკვლოს წვერზე შეედგათ.

— ახლა კი ისეთს სიმაღლეზე ვიჯდებიო, რომელზედაც ჯერ არცერთი ხელმწიფე მჯდარაო,—ამბობდა თავის გულში კარიუს მეფე.

ბევრმა დღემ გაიარა, სანამ საამეფო ტახტს საძრეკვლოზე შესდგამდნენ და კიბეს იქამდე აიუვანდნენ. მანამ კი მეფეს გული უწვრილდებოდა და მოწყენით იუო, თუმცა კარის კაცნი დღე და ღამე ქებას ასხამდნენ.

ბოლოს, როგორც იქნა ეველაფერი დაამზადეს. დიდის გაჭირვებით მეფე ავიდა საძრეკვლოზე და ტა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხტზე დაბძანდა. სიხარულით მეფე ცას ეწეოდა, რომ მთელ თავის ხალხზე მაღლა იჯდა.

ამ დროს მეფეს მოესმა ძლიერი გალობა. კარის კაცებს თურმე ხალხისათვის ბანის მიცემა ესწავლებინათ და ამიტომ ისმოდა დიდი ხმა.

ახლაც გალობის კილო ახალი იყო, მოძახილი კი უწინდელი:

მეფემ ძლიერო და დიდო!
დიადამც მაღლა ბძანდები,
მაგრამ ღირსი ხარ ჯდომისა
მაგაზედ უფრო ზევითა!

— ამაზედ უფრო ზევითაო!—ამბობდა თავის გულში მეფე.—სადღა ზევით?—და მეფე აქეთ-იქით იყურებოდა, მაგრამ ვერსად ჭვოებდა უფრო ძაღლს ადგილს.

— ნუთუ ღმერთის სწორი ვარ და ზეცას უნდა ვიჯდეო?—იფიქრა მეფემ. ამ ფიქრისაგან მეფეს თავბრუ დაესხა, ჩამოვარდა სამრეკლოდან და კისერი მოიტეხა.

კარის კაცებმა რა ნახეს მკვდარი მეფე, შექმნეს ტირილი და ვაება. მერე, რომ მოიტირეს, დიდის ამბით დამარხეს.

ალ. სარაჯიშვილი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

იშვიათი მეგობრობა.

თუთიყუში გონიერი ფრინველია, ადვილათ სწავლობს ლაპარაკს, ის იკვებება მარცვლით, ხილსაც გემრიელათ შეექცევა.

თუთიყუში ზოგი მწვანეა, ზოგი ნაცრის ფერი. მათი სამშობლო ცხელი ქვეყნებია. მათ იცხოვნ კაი მეგობრობა. მოგითხრობთ ერთი თუთიყუშის ამბავს, რომელსაც სახელათ ქაკო ერქვა.

ეს თუთიყუში სამოიყვანეს ჰარიზში. ქაკო ადვილათ შეეჩვია აქაურ ცხოვრებას და კიდეც დაუმეგობრდა ერთ სულ ჰატარა ბელურას. როგორც კი მისცემდენ თუთიყუშს საჭმელს, მის გვერდით მსწრაფლათ გაჩნდებოდა ბელურა.

ქაკოს ეფაზის გვერდით ნარი იყო გაკეთებული. თუთიყუშს გამოიყვანდენ ყოველ დილაობით და ჰატარა ჯაჭვით მიაბამდენ ნარზე. მისი მეგობარი ბელურაც ფიცხლავ იქ დაიბადებოდა. თუთიყუში გაუშვერდა ცალ ფეხს, ბელურა დაჯდებოდა ზედ, როგორც ნარზე. ქაკო ალერსით იწვევდა მეგობარს თავის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ულუფაზე და ასე ერთად შეექცეოდენ საუზმეს. საუზმის შემდეგ ქაკი გაშლიდა ცალ ფრთას, ჩიტუნია შეუმვრებოდა ფრთას ქვეშ და ნისკარტით აცლიდა კბენარებს. ქაკოს ძალიან ესიამოვნებოდა; მერე მეგობრები ნისკარტს ჩამალავდენ ფრთაში და ერთად ტკბილათ ჩაიძინებდენ.

ქაკო უცბათ ავათ გახდა. ჩიტუნია თავს ევლებოდა, ერთხელ მან მთელ ბალს შემოუარა, მონახა რაღაც ბალახი და მიუტანა თუთიეუშს. ასე უზიდავდა ბელურა ამ ბალახს რამდენიმე დღე, სანამ ქაკო სრულებით არ მორჩა.

ერთხელ ჩიტუნია ქაკოს გვერდით კენკავდა მარცვალს. უკანიდან დიდი კატა მიეპარა და ის იყო უნდა კლანჭებში ჩაეგდო ბელურა, თუთიეუშმა დაინახა და ერთი ისე დაიჭყავლა, რომ კატა კუდ ამოძუებული გაიქცა.

აი რა იშვიათი მეგობრობა ჰქონდათ ბელურას და თუთიეუშს.

ანიკო.

(რუსულით ჟურავსკიდან).

ეროვნული
ბიბლიოთეკა

შემოვიკალ!

მოგონება

ჩემო ჰატარა მკითხველებო, მე მინდა გიამბოთ ჩემი თავგადასავალი.

ერთხელ მე აივანზე ვიწექ. გაზაფხულის დილის მზემ შემომცინა მხიარულათ, როცა თვალები გავაჭ-ეიტე. ჰირველათ მივისედე იქით, სადაც ჩემი შშობ-ლები მეგულებოდნენ, მაგრამ მათი საწოლი ალაგე-ბული იყო. მე არც შევწუხებულვარ ამისთვის, ვი-ცოდი რომ დედა და მამა ჩვენს ჰაწია ბაღში, ახ-ლაც, როგორც ჩვეულებრივ ეოველ დილა, ან ხე-სილს უვლიდნენ, ან მწვანილეულობას.

დამშვიდებული მივწექ ისევ ბალიშზე და ვსტკბე-ბოდი ჩემს წინ გადაშლილი ბუნებით. აივნის თავზე თეთრათ დაფეფილებული დიდი თელა აშრიალებდა ფო-თლებს, მის ქვეშ ბრწყეულს და სხვა ხესილს ერთ-მანეთში გაებათ ტოტები, თითქოს რაღაცას ჩურჩუ-ლებდნენ, ჩუმათ, წუნარათ, ტკბილათ! გაღმა მოსჩან-და დაბარდნილი ტუე, ქედის წვერზე ტუეშივე ძველი ეკლესია. სოფელი მიეუჩებულიყო, თითქოს იქ არა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვინ სცხოვრობდა, მაგრამ სამუშაოზე დამდგარ გლეხს არცა სცალიან სალაპარაკოთ და სოფელში კი გაზაფხულის დილა უძვირფასესი დროა მუშაობისთვის.

დიახ, მე ვსტებებოდი მშვენიერი სურათით, რომელსაც სილამაზეს და სიცოცხლეს უმატებდნენ მკვირცხლი მოუსვენარი ბეღურები, შორიდან გუგულის ხმა, საგარცხელა ოფოფი და „ბიჭო-გოგია“,—აი, ის მოლაღური, რომელიც ხის ტოტზე საქანელასავით ჩამოჰკიდებს ხოლმე ბუდეს და ეკითელ საგერდში გამოწეობილი თან ბუდეს არწევს, თანაც ემახის „გოგიას“.

მახსოვს რა სიამოვნებას ვგრძნობდი, როდესაც თელაზე ჩამწკრიებული ძროშნები ფრთებს გულზე იცემდნენ, მიშტერებოდნენ აღმოსავლეთიდან გადმოშვებულს ხხივებს და უშტვენდნენ, უშტვენდნენ გატაცებულნი.

ისენი შეხაროდნენ სიცოცხლეს, ბუნებას, გაზაფხულს!

მახსოვს, მაგრამ ნეტა არ მახსოვდეს, როგორ დასრიალებდნენ მერცხლები.

ზოგი მათგანი მისრიალებდა ცის კიდურისაკენ და მე მას ვაეოლებდი თვალს, ვიდრე არ გაქრებოდა ჭაერის ლაქვარდ სივრცეში. ზოგი წამოვიდოდა სრიალით და თეთრს გულს ამოავლებდა ხოლმე იქავე აივნის ახლო ჰაწია რუს. ზოგსაც ჰირში ჩალა, ან ბალახი ეჭირა, ისენი ბუდისაკენ მიფრინავდნენ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მართალია, შორიდამაც კარგათ ვსტკებებოდი შრომ-ნების გალობით, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რო მე მინდოდა ისენი ხელში მეოლოდა, ან გალიაში და-მემწყვდია.

რათა? რისთვის? რათ უნდა მომესპო იმათთვის თავისუფლება?

ამაზე ანგარიშს არ ვაძლევდი ჩემს თავს.

მე თუ მესიამოვნებოდა, ესიამოვნებოდათ იმათაც თუ არა?

ამაზე მე აღარა ვფიქრობდი.

მშურდა აგრეთვე მერცხლების ჭაერში სრიალი, მეც მინდოდა მესრიალნა მათებრ ცაში, მაგრამ ისენი ხო არ მიშლიდნენ?

არ მიშლიდნენ, მაგრამ მაინც მშურდა!

ამ ფიქრებში ვიყავ გართული, როდესაც ერთი მერცხალი წამოვიდა ფრთებ გაშლილი პირდაპირ აივ-ნისკენ და ღია ფანჯარიდან შეფრინდა ოთახში. ის ალბათ ეძებდა ალაგს ბუდის გასაკეთებლათ. მე თვა-ლის დახამხამებაზე წამოვხტი ქვეშაგებიდან, გადავ-ხტი ოთახში და მივსურე ფანჯარა. მერცხალი ჭერ-ზე მიმჯდარიყო. მე და იმან ერთმანეთს შევხედეთ. ორივეს გული გვიღელავდა, მე სიხარულისაგან, იმას კი უფრო შიშისაგან ჩემს დანახვაზე.

მივათვალ-მოვათვალიერე ოთახი, ვფიქრობდი იმა-ზე, თუ როგორ ჩამომეგდო ძირს ჩემი მსხვერპლი. მეორე ფანჯარაზე მოვკარ თვალი ჩემს ქუდს და ელ-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვის სისწრაფით გადავწევიტე ამ ქუდით მერცხალთან ომი. წამოვავლე ხელი და შევსტეორცნე ჭერს, სადაც მერცხალი იჯდა. ის გამოქანდა ფანჯრისაკენ, მაგრა შეაწყდა შუშას და ჩამოვარდა ძირს. მე ვერ მოვასწარ ხელი დამეტაცნა. ის ისევ ჭერზე გაეკრა, გადმოხარა კისერი და მიეურებდა რას ვუპირებდი. მე ისევ ქუდი დაუმიზნე, ის სხვა მხარეს გადაფრინდა, ვესროლე, მოვარტეი ის კიდევ ფანჯარას ეცა, მაგრამ ამაოთ!

ასე გაგრძელდა ჩვენი ომი, თითქმის ნახევარი საათი. მერცხალი მოიქანცა, რამდენჯერმე ჩამოვარდა ძირს, მაგრამ იკრეფდა უკანასკნელს ძალას და ხელიდან მისხლტებოდა. ეშინოდა კი, რომ არაქათი გამოელია. ბოლოს ის მიეკრა ფეხებით კედელს, მეც ქუდ-მოდერებული, ოფლში გაწურული შევდექ, რომ ცოტა შემესვენა, თანაც თვალს არ ვაშორებდი იმ ადგილს, საიდანაც ის მიეურებდა საბრალო თვალებით, თითქოს მემუდარებოდა: „რა გინდა ჩემგან, დამანებე თავიო“.

მაგრამ მე გულქვა გამოვდექ და ის კი იყო უნდა მეტეორცნა ქუდი, რომ უცებ მისი ლმობიერი გამომეტყველება შეიცვალა რაღაც სიბრაზით, ზიზღით, ელვის სისწრაფით გამოქანდა ჩემსკენ, დამეჯახა თავით ზედ გულზე და დაეცა ძირს. მე ხელი დავტაცე, გამიხარდა რომ ხელში ჩავიგდე, მაგრამ მერცხალი უკვე მკვდარი იყო, უსულო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დავღონდი, დავფიქრდი, მსოლოთ ეხლა ვიგრძენ რა საზიზღრობა ჩავიდინე.

საწყალი მერცხალი იქამდე მივიყვანე, რო ჩემს შეუბრალებელს გულზე თავი მოიკლა. მას არ უნდოდა დამნებებოდა ცოცხალი.

ტყვეობას სიკვდილი ამჯობინა.

მისი ბაწია გვამი დავდე ფანჯარაზე და მეოთახის მეორე კუთხეში დავჯექ, ვნანობდი, მაგრამ სინანული გვიანლა იყო.

სწორე გითხრათ, დედასაც არ გამოუტყდი, როდესაც მან მერცხლის სიკვდილი დახურულ ფანჯარას დააბრალა: „თავს შეახლიდა“. არ გამოუტყდი იმიტომ, რო მცხვენოდა, მეშინოდა მეტი ჩემი დანაშაულისა.

ეხლაც ეოველ გაზაფხულზე მაგონდება მე ეს და მას აქეთ, თუმცა რამდენიმე წელიწადი გავიდა, მაინც ვნანობ. არც არაოდეს დამავიწყდება საბრალო მერცხალი, არ დამავიწყდება, როგორ მან უკანასკნელათ შემოძხედა ჯერ სიბრალულით და მერე ზიზღით.

ი. ევდოშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

ჭაბუკი გმირი.

(ფრანგულიდან)

ტბის ნაპირათ, ქალაქ ჩიკაგოს მახლობლათ აგებული იყო ერთი ვეებერთელა ვაჟების სასწავლებელი.

ერთხელ მოსწავლეებმა დაინახეს სასწავლებლიდან, რომ ტბაზედ იღუპება პატარა გემი ხალხით სამსე.

მოსწავლენი გაეშურენ ტბის ნაპირას. ერთ მადგანმა, ედუარდ სპენსერმა, რომელიც გულადი იყო და ცურვაც იცოდა საჩქაროთ გაიძრო ტანთსაცმელი, წელზედ შემოიკრა თოკი და სწრაფათ ჩახტა ტბაში. თვალის დახამხამებაზედ ტბის ნაპირას გამოიტანა ერთი კაცი, მაშინვე ჩახტა ისევ წყალში და მერე მეორე გადაარჩინა დახრჩობას, მერე მესამე, მეოთხე და მეათეზედ-კი ისე მოიქანცა და კანკალებდა სიცივით, რომ აღარ შეეძლო წყალში ჩასვლა.

ედუარდი ცოტა ხანს გაჩერდა ცეცხლთან, რომელიც მის ამხანაგებს ტბის ნაპირას დაენთოთ. მერე შეხედა ტბას და რა ნახა რომ კაცები და დედაკაცები

ეროვნული ბიბლიოთეკა

იხრჩვებიან უცბათ წამოიძახა:—მეგობრებო, ვერ გავ-ჩერდები, უნდა მივეშველო!

— ხომ ხედავ რომ აღარ შეგიძლიან, ვიღას გა-დაარჩენ, მხოლოთ შენ თავს ავნებ და მაგითი სხვებს ვერას უშველი.

ეპაწვილმა ღიმილით დაუგდო ეური მეგობრებს და ხელ ახლათ ჩახტა ტბაში და თითო-თითოთ ხუ-თი კაცი კიდევ გადაარჩინა სიკვდილს. ახლა კი ჭა-ბუკი ლასლასით მივიდა ცეცხლა-ბირას და დაძვი-დებული გაჩერდა, თითქოს დარწმუნებული იყო, რომ გადასარჩენი აღარავინ ჰყავს, მაგრამ ედუარდის გამ-ჭვრეტმა თვალებმა მალე შეამჩნიეს რომ შორს, ზვირ-თებში მოჩანდა კაცის თავი.

— ხედამთ იმ კაცს, რომელიც ცდილობს გადა-არჩინოს თავისი ცოლი, უნდა მივეშველო, არ იქ-ნება

— არა, არ შეიძლება, არ გაგიშვებთ, შეჰყვირეს ყველამ.

ედუარდმა არავის დაუჯერა, მოიკრიფა რაც ძა-ლი და ღონე ჰქონდა, ჩახტა ტბაში, ეცა გაშმაგებულ ზვირთებს და გამოიტანა ტბის ნაპირას ის კაცი და დედაკაცი.

გონება მიხდილ ედუარდს სტაცეს ხელი ამხანა-გებმა და აიტანეს საწოლ ოთახში. მისი ძმა ვილლი მთელი ღამე უდარაჯებდა ბუსართან ჩამომჯდარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შუადამისას ვილლს მოესმა ფეხის ხმა, მერე ვიდა-მაც მხარზედ ხელი დაადო.

— ვილლი, განა ეველაფერი ავასრულე, რაცკი შესაძლო იყო ჩემგნით?

— რასაკვირველია, ჩემო ედუარდ, შენ ჩვიდმეტი გადაარჩინე სიკვდილს.

— ვიცი ვილლი, მაგრამ ვშიშობ, რომ მეტი ხალხის გადარჩენა შემეძლო...

ედუარდი ისევ ჩააწვინეს ქვეშაგებში. ჭაბუკი მთელი ღამე ბოდავდა, ვაი თუ ვინმე დამრჩა გადაურჩენელი და ზვირთებმა ჩანთქესო.

— დაწუნარდი, ედუარდ, ეუბნებოდა ძმა,—ჩვიდმეტი კაცი გადაარჩინე სიკვდილს და განა ეს დიდი საქმე არ არის?

— მართალია ძმაო, მაგრამ იქნება შემძლებოდა ერთი კიდევ გადამერჩინა, მსოლოთ ერთი კიდევ! გულ ამოსკვნილი ამბობდა გმირი ჭაბუკი.

ტასო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

წმინდა სამთლის საძეფოში

ალტაევისა.

(თარგმანი)

გაზაფხულის დამდეგს წაიყვანეს კოტე და ოლა სოფელში; აგერ მიუახლოვდნენ ტბას, აი ახალი ეკკლესიის ოქროს გუმბათიც, აგერ სახლიც.

პირველი ოლა გადმოსტა ეტლიდან და გაექანა იაღისკენ. რა ლამაზი თბილი მზეა! რა მშვენივრათ გალობენ ტოროლები! „გამარჯობა, — ოლა, გამარჯობა!“ იქით რაღაცა ხმაურობაა, რა არის ნეტა! მირბის ოლა და ხედავს რაღაც ჰატარა ფიცრით დახურულ სახლებს, გვერდზე ჰაწია შესავალ ჯურჯუტანებით, შიგ რაღაც მოძრაობაა და ბზუილი...

— კოტე, მოდი ერთი ჩქარა! უძახის ოლა. კოტეც მოვიდა, შედგა და დაუწყო ეურება.

— კოტე ეს რა არის? უეურე! წენარის ბზუილით გამოფრინდა ჰატარა ფრთიანი დიდი ბუზის მგზავსი; აი მეორეც, მესამეც და კიდევ მრავალიუჭ! რამდენი ეოფილა!

19904
საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა
საქართველოს
ეროვნული
ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ეგ ფუთკარია, წენარად მიუგო კოტემ, ჩვენ სკოლაში მასწავლებელმა გვიამბო. ეგეც მაგათი სკებია, რომელსაც მათ უკეთებენ საცხოვრებლათ.

ოლა დაიკუზა და შეიხედა იმათ კარებში.

— დედა! მოისმა მის უკან ხმა, რას ჩადიხარ, ხომ გიკბენს ფუტკარი!

ოლა მოტრიალდა და თავი დაუკრა.

— ოჰ, ტიხონ—გაგიმარჯოს!—მიუგო მან მხიარულათ.—საიდან გაჩნდა ეს ფუტკარი?

— ეხლა გავაჩინე, თუ ღმერთი შემეწია!

— ჰირბადე რაღათ გიჭირამს?

— მაშ უჰირბადოთ რომ დამკბინონ!

— დაინახე, შესძახა ოლამ და სტაცა ხელი თავის ძმას. რამდენი ფუტკარია!

წენარა გამოვიდა ფუტკარი სკიდან, მიიხედ-მოიხედა, აფრინდა და დაუჯდა ენძელას. მისი ფრთები მინასავით გამჭვრიალტა.

სწუწნის ფუტკარი ევავილგდან ტკბილ წვენს, აგროვებს ევავილის ევითელ ფქვილს ანუ კაჰარჭს და მთლათ ევითლად ამოგანგლული მიჰფრინავს დატვირთული თავის სკისაკენ.

— როგორ სცხოვრობენ სკაში? ჰკითხა ოლამ ტიხონს.

— ოჰ, ბატონო! ისინი იქ ისე მუშაობენ, როგორც კარგ ქარხანაში! ერთს ფუტკარს თაფლი მოაქვს, ტკბილი წვენი ევავილისა, მეორე ფეხით წმინდა სან-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თელს იცილებს მუცლიდან: მათ ისე გამოზდით სანთელი, როგორც თქვენ ჰირზე ოფლი. სხვა ფუტკრებიც ეხმარებიან. ზოგი სანთელს აგროვებს, ზოგი სანთლიდან ფიჭას ანუ ხილარს აკეთებს. ფიჭა ისეთია, როგორც ჰაწია ფინჯნები, ამ ფიჭებს ერთი მეორეს კედელივით აკრამენ.

— რათ უნდათ, ტიხონ, ფიჭა?

— მაშ როგორ იქნება უიმისოთ ფუტკრების ცხოვრება აგერ თქვენ ტახტები გიდგათ საწოლათ, ფუთკარის შვილებსაც ეგ აკვნათ აქვთ, სადაც მათ თბილათ და ლამაზათ სძინავთ.

— რანაირი შვილები ჰყავთ ფუტკრებს, შეეკითხა ოლა.

— მათი შვილები ჰაწია მწერებს წააგავს. ეველაზე დიდი ფუტკარი სკაში არ საქმიანობს, მას უგონებენ ეკვლანი, ეს იმათი დედოფალია. იგი მხოლოდ კვერცხებს სდებს ეოველს ფიჭაში, ზევიდან გადალესს და ისე მიანებებს. მაგრად სძინამთ მწერებს... მხოლოდ, როცა ისინი აკვანში ვიწროთ გრძნობენ თავს და ფრთები გამოესხმებათ, მაშინ გამოდიან თავის აკვნებიდან არა მწერებათ, არამედ ფუტკრებათ. ბებერ ფუტკრებმა უნდა ასწავლონ თავის დობილებს მუშაობა. რა რიგ ხმაურობენ დღეს! რა ამბავი აქვთ?—ტიხონმა შეიხედა სკაში.—აი აქვე, სულელებო! რა ალიაქოთში ხართ? უეურე, დიდი კოღო შეჭვარვიათ სკაში და ის არ მოსწონებიათ. ეა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაულები რაღას მიკეთებენ, რათ შეუშვიათ! უეურე, უეურე კოღოსურა რიგ დაჭერინავს, აღარ წაუხვალ მაგათ! კოღო ხან იქით ეცემოდა სკაში, ხან აქეთ, ფუტკრები კი ბზუილით უახლოვდებოდენ მას, აგერ ერთი უკანიდამ მიეპარა და ეცა კოღოს, რომელმაც სული დაანთხია იქვე. ფუტკრებმა გადმოაგდეს მაშინვე მისი სხეული სკიდამ,—ხედამ! ფუტკარმა უკბინა, მიუბრუნდა ტიხონი ოლას.—მას ისარი აქვს უკან ნევსიგით და იმითი მოკლა კოღო. კარუზ ფუტკარმა ეურიგერ უგდო და შეუშვა სკაში. კარუზები ძალიან ზარმაცნი არიან, არას აკეთებენ, მხოლოდ სკას დარაჯობენ. ღმერთმა დაიფაროს უცხო ფუტკარი ან მტერი შევიდეს სკაში! უჰ, რა ბევრი საქმე აწევთ თავს! მრავალი საქმე აქვთ, ჩემო ბატონო, ფუტკრებს! საზამთროთ უნდა თაფლი და სანთელი მოიმზადონ, უნდა სკა სუფთათ და რიგიანათ მოაწყონ, რომ ზამთარშიც თბილოდეთ.

— ზამთარში რაღას აკეთებენ ფუტკრები?—უცებ იკითხა აქამდინ გაჩუმებულმა კოტემ.—

— ზამთარში? სხედან, აღარ მუშაობენ ისვენებენ და უცდიან თბილ დღეებს. როგორც მზე დაათბობს ქვეყანას და გაადნობს თოვლს, ვნახოთ, ფუტკარიც გამოდის თავის სანთლის სახლიდან და ათვალიერებს, ხომ არ მოსჩანს სადმე გაზაფხულის ყვავილი. კარგია, შვილებო, გაზაგხული! როგორც პატარა დათბება და ამოჭყოფენ თავებს ენძელები, მუშა ფუტკარიც ზედ

ეროვნული ბიბლიოთეკა

დასტრიალებს და შეუდგება თავის საქმეს. ჩვენთვისაც სასარგებლოა მისი მუშაობა. თაფლს ვიღებთ და ვსმარობთ საჭმელად, სანთელსაც ეკლესიაში უნთებთ ღმერთს. მე ძოხუცმა კი გავაბი თქვენთან საუბარი! იქნება ეურსაც არ მიგდებთ? მგონი თაფლის საჭმელათ უფრო ძოხვედით! ეხლავ ძოგართმევთ.

ტიხონი გაეშურა, თავის ბებრუცუნა ფეხები ააჩქარა და ძალე ძოართვა ემაწვილებს ჰური და ძმვენიერი ფიჭა თაფლისა.

ანასტასია ამილახვარისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ქეთუნა და ჩიტი.

ედა, დედა! შენი ჭირიმე, შენ გენაცვალე, ჩიტი მიყიდე. ნახე რა ლამაზია! გული ეკითელი აქვს, აქეთ-იქით ფრთებთან წითელი!

შელრიჭინებდა და კალთას სწევდა ბატარა ქეთუნა დედას, რომელიც სასტუმრო ოთახში სტუმართან ლაპარაკში იყო გართული.

— დედა, დედა! ბიჭი წავა, ჩიტს სხვას მიჰყიდის! არ ეშვებოდა ქეთუნა დედას.—მერე ისეთ ლამაზ გალიაში ზის, ისეთში-რომ რაღა გითხრა!

— მერე, მერე, გენაცვალე, ეხლა არა მცალიან, ჩუმათ ეუბნებოდა დედა ქეთოს და ისევ სტუმარს ებაასებოდა.

— მერე არ იქნება, ეხლა მინდა, ბიჭი წავა! ჭირვეულობდა ბავშვი.

— აბა წადი აქ მოიყვანე ი ბიჭი, ვნახოთ რა ჩიტი ჰყავს, როგორ აფასებს? გეყოფა სტუმარი დედაშვილთა ცილობაში.

ქეთუნა ნიავ-ქარივით გავარდა ბალკონზედ და წამზედ შემოიყვანა ოთახში ერთი ათი-თორმეტი წლის ბიჭი, რომელიც სიცივისგან კანკალებდა თავის საზაფხულო ტანსაცმელში და კალურჯებულ ხელებში

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეჭირა ჰატარა ლამაზი გალია, ლამაზი ჰატარა ჩიტით შიგ.

— ცოდვა არ არის რომ ჩიტებს იჭერ და გალიაში ამწყვდევ? უთხრა ბიჭს ქეთოს დედამ.

— ცოდო რად იქნება! თამამად მიუგო ბიჭმა. მინდორში ეხლა აღარაფერი არ არის მაგის საჭმელი და სახლში კი აჭმევენ და ასმევენ კიდეც.

— თავისუფლებას რა სჯობია! გალიაში დამწყვდეულს რა საჭმელი გაახარებს! დაუმატა სტუმარმა ქალმა.

— თავისუფლებას, თავისუფლებას! აი მეც თავისუფალი ვარ, მაგრამ სიმშილით ვკვდები. დედაც ავადა მყავს და ფული კი არა გვაქვს, რომ ჰური ვიყიდოთ.

ეხლა კი დარცხვენით და ცრემლებით სავსე თვალებით სთქვა ჩიტის ჰატრონმა.

— განა შენ იმისთვის ჰყიდი ჩიტს, რომ აღებული ფულებით ჰური იყიდო? გაიკვირვა მორთულ-მოკაზმულმა, თეთრ ხელთათმანებიანმა ქეთოს დედის სტუმარმა.

— მაშ შენ რა გგონია?! მთელი ღამეები ამ გალიის კეთებას უნდები, დღე კი ეინვა-სიცივეში, ქალაქ გარეთ, ამ ჩიტებს დავდევ დასაჭერათ.

— მერე ბევრს ჰყიდი? კაი ფასს იღებ? ზედიზედ ეკითხებოდნენ იმ აზრით გაკვირვებული ქალები, რომ ქვეყანაზედ ამ გვარ ხელობითაც შეიძლება ლუკმის შოვნა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ბევრს ვეიდი? კარგ ფასს ვიღებ? ვინ იცის რამდენს ვიღებ! ჩიტიც და გალიაც სულ ერთი აბაზი ღირს! წაიდუდუნა ბიჭმა საეჭვედურით და დაავირა წასვლა.

— დედა, დედა! კიდევ შეჭბღავლა ქეთომ, მიეიდე, მიეიდე ჩიტი! ხო ხედავ ბიჭსაც ფული უნდა, დედას ბური უნდა უეიდოს...

— გიეიდი, გენაცვალე, მაგრამ იმ ბირობით კი რომ მაშინვე გაანთავისუფლო ეგ უბედური ფრინველი! და ჩიტის ბატრონს კი ერთი ორად მეტი მისცა იმაზედ, რაც იმანა სთხოვა.

სტუმარმა ქალმაც გახსნა თავისი ძვირფასი ქისა და ერთი აბაზიც იმან უწყალობა სიცივით მოკუნტულ ჩიტის ბატრონს.

ბიჭი თავის თვალს არ უჯერებდა ამ ბედნიერებას.

— ერთი ჩიტი თქვენც მოგიევანოთ? შეეკითხა მორთულ ქალსა.

— არა, რად მინდა მე ჩიტი! ეგ დედა შენს წაუღე და ხვალ ნუღარ დაიჭერ ჩიტსა.

ბიჭი სიხარულით შესტა, შეითამაშა და ბედნიერის ღიმილით გარეთ გავარდა.

ქეთუნიამ კი ისარგებლა დედის სტუმართან ლაბარაკის გაგრძელებით და გალიით ხელში თავის ოთახში გავიდა; აქ გამდელს სახჭაროთ მოატაინა საკენკი, ლამბაქით წყალი და ორთავე-ჩიტს გალიაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

შეუდგა. შიმშილით დაოსებული ჩიტი ხარბათ ჭელაპავდა ერთსაც და მეორესაც.

ქეთუნა გაშტერებით უყურებდა და თავის გულში ფიქრობდა: —ნეტა თუ ჩიტის გამეიდავიც, აღებულის ფულით, ესლა ისე ხარბად ჭელაპავს ბურის ლუკმებს! და პირველად თავის დღეში, მაძღარმა პატარა ქალმა იგრძნო სიბრალული და შიმშილით დატანჯულთა თანაგრძნობა აინთო იმის პატარა გულში.

ეკ. გაბაშვილისა.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

როგორ ზრდიან პირუტყვები

თავიანთ შვილებს.

მაიმუნები.

ყოველ ცხოველებში მაიმუნი გაირჩევა თავისი შვილების სიყვარულით. მაიმუნს გაგიჟებით უყვარს თავისი შვილები და არა მარტო თავისი, სხვისიც კი ისე უყვარს, როგორც თავისი საკუთარი.

დიდს სიხარულს განიცდის ხოლმე ოჯახი, როცა პატარა მაიმუნი იბადება. ყველას უხარია, დედას, მამას, მეზობლებს. პატარა მაიმუნი თვალ ახილული იბადება.

დაიბადა მაიმუნი. დედა იჭერს მას ხელში, როგორც ადამიანი დაიჭერს პატარა ბავშვს. დედა მაიმუნი ანძრევს ხელებს, თითქოს არწევს თავის პატარას.

აი მაძაც მოვიდა, უნდა ნახოს თავისი შვილი. მოსვლის უმალ მამამ გადაკოცნა დედა. ამ უკანასკნელმა მისცა ახალი დაბადებული შვილი მამას. მამამ მასაც აკოცა და ნაზად და ფრთხილად გადუსვა თავზედ ხელი. მერმე დაჯდა იქვე დედასთან. მეზობლები თვალს არ აშორებენ თავის პატარას.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოვიდნენ სანახავათ

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვანიც. მათ კოცნის ნება აღარ მისცა დედა-მაიმუნმა, არც ხელი ახლებინა. სტუმრებს შეეძლოთ მარტო ეურებით დამტკბარიყვნენ. დედამ რაღაც ბეწვი დაინახა შვილის გულზედ და მაშინათვე ლოკვა დაუწყო და გაასუფთავა შვილი. პირიც დაბანა. პირველ ხანებში, თითქმის ორი კვირა, დედა სრულებით ვერა სტოვებს ახალ დაბადებულს. პატარა დაეერდომება გულზე, ხელებს მოავლებს კისერზე დედას და ეს უკანასკნელი ამ ტვირთით დახტის ხის ტოტებზე.

ორი კვირის შემდეგ პატარა მაიმუნს თვითონ შეუძლია ახოხდეს დედის ზურგზედ, კისერზედ. დედა თვალ-ეურს ადევნებს მის სისუფთავეს. დრო გამოშვებით პირსაც ბანს, თუმცა პატარას ეს ძლიერ არ მოსწონს და საშინლათ იტანჯება ამ დროს.

მაიმუნი სულ მალე ხეზე ასვლასაც სწავლობს. დედ-მამას ბაძავს მიხვრა-მოხვრაში და ამ რიგათ ითვისებს მათ ჩვეულებას

ათი-თერთმეტი წლის მაიმუნი იმოდენათ შეჩვეულია უკვე ეოველისფერს, რომ იგი აღარ საჭიროებს არც დედას და არც მამას.

მაიმუნები ზრდიან სხვის შვილებსაც. ობოლი მაიმუნი არასოდეს არ დარჩება გაუზრდელი. რომელიმე ოჯახი აიყვანს მას და გაზრდის, როგორც თავის საკუთარ შვილს. მოხდება ისე, რომ პატარა მოკვდება. გამზრდელები დარდით თავს იკლავენ, არ

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჭამენ, ტირიან და წარმოიდგინეთ, როგორ უნდა იდარდონ მაიმუნებმა, როდესაც თავისი საკუთარი შვილი მოუკვდებათ. ბევრნი ვერ უძლებენ დარდს და ნაღვლით კვდებიან.

ა. ფ—სი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ა ნ დ ა ზ ე ბ ი.

წუნიასა აკლდებოდესო.

—

სულელი მეგობარი — მტერზედ უარესია.

—

კაცი კაცითო, ღობე გაცვითო.

გ ა მ ო ც ა ნ ე ბ ი.

ტყეში ხარი შემივიდა
გამო, გამო გიშერაო,
ნაბდის ძველი იქ დააგდო,
გამოვარდა შიშველაო.

—

მაღლა ცაში მოიწმინდა,
მოისკამა, სკამურაო,
ძირს მელიამ ფეხი ჩაჰკრა,
ჩაჰკრა, ჩაარასკუნაო.

—

ეს ჩემი პატარა ბოსელი
ვხვეტე, ვხვეტე ვერ დავხვეტე.

ჩქარა გამოსათქმელი.

(წარმოდგენილი კ. სეხნიაშვილის მიერ)

ნაპარავი ქურქის ქუდი ქურდსა ქუდათ თავს ეხურა.

—

ორი ღორი ღელეს ჰრბოდა, მეღორე ღორებს დასდევდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

შ ა რ ა დ ა.

(წარმოდგენილი ლელაშვილის მიეო)

პირველი—იმერთ კილოა, საუბრის ბოლო დასკვნისა.
მეორე—მჟავე საჭმელი, შეჭამადია მაწვნისა.
თავს გვაფარია მესამე, ზედა პირია სახლისა.
მთლათ—პურის შესანახია, თუნდ ძველის, თუნდა ახლისა.

შ ა ი რ ე ბ ი.

კარგია კარგი ყოფნაო
კარგი ხარი და ძროხაო,
მოყვარეში არ ვარგია
დაძველებული ჩოხაო.

—

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო,
ჭალას ჩიტი ჩამკვდარიყო,
დიდს ქვაბში არ ეტეოდა,
პატარაში არ კმარიყო;
ასი სული დავარიგე
ერთი ლუკმაც არსად იყო.

ა მ ო ც ა ნ ა.

ლოკოკინა კედელზე ადიოდა დღეში რვა გოჯს, ღამე კი ექვს გოჯს ისევ უკან ჩამოდიოდა. კედლის სიმაღლე იყო ოცდა ოთხი გოჯი. აბა გამოიცანით, რამდენ დღეში ავიდოდა ლოკოკინა ამ კედელზე?

გამოცანებისა: მეთევზე, ზედადგარი, ნარდი,
შარადისა: ჩაფარი.
რებუსისა: კაცი რომ ნავში იჯდეს, მენავეს არ უნდა ეჩხუბებოდესო.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ვახტანგ გორგასლანის

უკანასკნელი დღე.

(**ისტორიული პოემა**)

I.

ესისი იყო. გარეთ-კახეთსა
ბადრი მთოვარე თავს დასცქეროდა,
და მისი შუქი ტურფა ქვეყანას
ალერსით ნანას ეუბნებოდა.
მთების ასულის, მდინარე ივრის,
ნაღვლით სავსე ხმა შორს გაისმოდა,
და ვარსკვლავთ გუნდით მოჭედილია
მისს მჭვირს ტალღებში საამოდ თრთოდა.
გრილი ნიავი ცელქურ სიმარდით
ფოთლებს არხევდა, თავს ევლებოდა,
და ვარდ-ზამბახის ტკბილ—სურნელება
ირგვლივ მიდამოს ეფინებოდა.
მთების შუაგულს, ერთს მაღალს ბორცვზე,
იდგა უჯარმის ციხე განთქმული
და დევ-გმირივით შორით მოსჩანდა
მთვარისა შუქით განათებული.
თვალ ჩაუწვდენელ ხევებით იყო

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სამის მხრით იგი შემოზღუდული;
მარცხნით იორი ქებას უძღვნიდა,
მის სიდიადით განცვიფრებული...
ამ ბედნიერს დროს, როდესაც მიწა
შესტრფოდა ცასა გადაწმენდილსა,
მთოვარით შემკულს და სანეტაროდ
ცელქ ვარსკვლავებით გადაჭედილსა,—
უჯარმის ციხის შუა სადგომში
ფხიზლობდა ერთი მოხუცებული,
მჭვუნვარე სახეს, სევდით მოცულსა,
უმკობდა წვერი გაჭაღრებული.
ეს იყო ვახტანგ, ქართველთა მეფე,
გორგასლან მეფედ სახელ-დებული,
საშიში ქართველ ხალხის მტრისათვის,
წინა აზიას სახელგანთქმული.
თან ახლდა იმას მღვდელი დიმიტრი,
მოხუცებული თვისი მოძღვარი...
ციხის ახლოს კი ვრცელსა მინდორზე
ბანაკად იდგა იმისი ჯარი.
სპარსთა ხელმწიფე, მძლავრი კობადი,
ხვალ ქართველებთან ომს აპირებდა,—
და ძლიერ მტერთან შებმა გორგასლანს
სამეფოს ბედზე დააფიქრებდა.
მტერთან საომრად გამზადებულსა
მას ერთი ფიქრი არ შორდებოდა.
ის ჩასძახოდა: ქართველთა მეფე
მტრის ისრის მსხვერპლი შეიქნებოდა...
ჯანღონით სავსეს მეფე ვახტანგს კი
თავისი თავი ენანებოდა
და არ უნდოდა, ჯერ სამოცის წლის,
საყვარელს მამულს განშორებოდა.

II

გათენდა დილა. გოლიათივით
მზემ სხივოსანი ამოჰყო თავი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

სალამი უძღვნა მშვენიერს მთაბარს,
გაფანტა ბნელი გულის მომწყლავი...
მძინარს ბუნებას გამოელვიძა,
ტანს წამოისხა თეთრი მანდილი,
ფრინველთ ხმა-მაღლა იწყეს გალობა,
გულს ახარებდა მათი ხმა ტკბილი...
მაგრამ აქა-იქ გუნდ-გუნდად ფრენდენ
ცუდად დაცდილი ყორან-ყვავები,
თითქოს ლეშის სუნს გრძნობდენ წყეულნი
დასრიალებდენ ხარბი სვავები...
იორის გალმით სპარსელთა ჯარი,
სჩანდა, საომრად ემზადებოდა,
ცხენთა ჭიხვინი, მხედართ ყიჟინა
და საკრავთა ხმა გამოისმოდა...
მაგრამ ხანდისხან მტერთა ბანაკში
ყოველივე ხმა მიწყნარდებოდა,—
და ჯარი მწყობრის ძლიერი ხმითა
ამ გვარს სიტყვებსა გაიმღეროდა:
,,შორით მოვსულვართ... ბრძოლისა ველზე
ან სიკვდილი და ან გამარჯვება!
მოვსპოთ ქართველნი დედა-მიწაზე,
და საქართველოც ჩვენი იქნება!!
მოვა დრო, როცა საქართველოში
სპარსეთის ხალხი დაესახლება,
სპარსული სიტყვა და სიმღერები
მის არე-მარეს მოეფინება!!''.
ამის გამგონი ქართველთა ჯარი
ღელავდა, მტერთან ომის მწყურვალი,
თანაც იმღერდა საომარს ხმებსა
და ციხისაკენ ეჭირა თვალი.

III

დაიძრა ჯარი და გაემართა
მტერთან საომრად თავ-გაწირული.
წინ მიუძღოდა მეფე ვახტანგი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

საბედისწეროდ ჩაფიქრებული:
,,ვინ იცის, ბედი ვის რას გვიქადის,
და როგორი დღე დაგვიღამდება?
რამდენი გმირი ამ წუთს ცოცხალი
დღეის მზის ჩასვლას ვერ ეღირსება!?
ნუ ღელავ გულო, შორს შიშის გრძნობავ,
დაე გადამხდეს თავს ბედისწერა!!
რაა მრავალ გმირთ გულის ძგერასთან
შეჩერდეს ჩემის გულისაც ძგერა!
მხოლოდ გთხოვ, ღმერთო, ისე არ მომკლა,
რომ არ ვიხილო მტრის დამარცხება,
თორემ წუხილი, მწვავი წუხილი
ჩემს სულს აროდეს არ განშორდება.
ვინატრი მოვკვდე ისე ბრძოლაში
და გამეთხაროს სამარე ბნელი,
რომ ქართველებმა მკვდარს დამამღეროონ
თავისუფლების საგალობელი!
მრწამს, ეს სიმღერა ტკბილ-სანეტარო,
საფლავში ჩემსა მტვერს გაახარებს,
შემიმსუბუქებს იქ მარტო ყოფნას,
კუბოში წოლას გამიადვილებს!.''

IV

იძლია სპარსი... მაგრამ ქართველებს
ძვირად დაუჯდათ ეს გამარჯვება:
იმათს ბანაკში სიჩუმე მეფობს
და არ გაისმის მხიარულება...
ოცდა რვა ათას ქართველმა გმირმა
დასდო თვის თავი ბრძოლისა ველსა
და მოწამებრივ სისხლით შესძინა
თავისუფლება მხარეს მშობელსა...
მათ არ ჩამორჩა უკან თვით მეფე:
თვის ხელით მოჰკლა კობადის შვილი,
და შემდეგ კობადს მიუახლოვდა
თავგამეტებით ხმალ ამოწვდილი...

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგრამ ამ დროსა კობადის მცველმა
ვახტანგს უგმირა გულში ისარი,
შხამ-მოცხებული, და ჭრილობიდამ
უხვად გადმოსქდა მას სისხლის ღვარი.
ჯარსა უბრძანა არ დაძრულიყო,
არც მეფის დაჭრის შეშინებოდა...
თუმც შეუხვიეს მეფეს ჭრილობა,
მაგრამ ტკივილი უმწვავდებოდა.
ბრძანა უჯარმას თვისი წაყვანა;
იქ მას სიკვდილი ენატრებოდა...
სულ კურთხეული წინ და წინ გრძნობდა,
რომ ამ ჭრილობით გარდიცვლებოდა.

V

უჯარმის ციხის შუა სადგომში
სწევს სარეცელზე მეფე დაჭრილი...
თან ახლავს იმას თვისი მოძღვარი
და დარჩილ, თვისი პირველი შვილი.
გაფითრებული, სისხლით მოსვრილი
მეფე ვახტანგი მათ ეუბნება:
,,ვიცი, რომ წუთი უკანასკნელი
აღსასრულისა ჩემისა დგება.
სულის მოძღვარო! გთხოვ მომაკვდავი
ჩემი ანდერძი გადასცე ჩემს ერს,
ვწუხვარ, რომ მწარე ტკივილთა გამო
ვერა რას ვეტყვი სასარგებლოს ბევრს:
,,უყვარდეს მტკიცედ თავისუფლება,
ბედნიერების მომნიჭებელი:
იგია ღმერთი ცისა და ქვეყნის,
სათაყვანო და სადიდებელი.
ძვირფასი განძი არის ერისთვის
თავისულება ზე-კურთხეული...
და ვისაც იგი დაეკარგება,
ის ივლის სოფლად გზა-დაბნეული...
იმას მოელის კვნესა და ოხვრა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცრემლი და ტანჯვა აღურაცხელი,
,,გლოვისა ღელედ'' გადაიქცევა
იმ საწყლისათვის წუთისოფელი.
უყვარდეს იმას იესოს სწავლა,
თვის დედაენა ძუძუზე ტკბილი,
თვისი სამშობლო სწორუპოვარი,
სადაც ისაა შობილ-აღზრდილი,
სად ებრძვის შავბედს და სად მოელის
ხან სიხარული, ხან სევდა მწველი,
სად სიკვდილის წინ დახუჭავს თვალებს
და გაეთხრება სამარე ბნელი.
ჰქონდეს კავშირი მას საბერძნეთთან,
მისდევდეს სწავლა-მეცნიერებას,
სცნობდეს დროს და მის მოთხოვნილებას
შეუფარდებდეს თავისს ცხოვრებას.
ვინც ჩამომრჩება უკან მსოფლიოს
ცხოვრების წინსვლას და გულის ძგერას,
თავის თავს უთხრის უდროოთ საფლავს,
თვითვე იცუდებს თვისს ბედისწერას.
ვინც დაივიწყებს ამას ყოველსა,
მას დაივიწყებს თვითონ ღვთაება,
აერევა მას ცხოვრების კვალი
და აღმოიფხვრის მისი ხსენება...
სხვა ერს დარჩება მისი სამშობლო,
მის ყოველივე სამკვიდრებელი,
მის მამაპაპის საფლავს დაქელავს
მასზე ჭკვიანი და შორს მჭვრეტელი!!
ბრძანა ეს მეფემ და ეზიარა...
მეტად დასუსტდა, დაჰკარგა ძალი,
ცნობაც წაერთვა ზეგარდმოცხებულს
და სამუდამოდ დახუჭა თვალი.
თითქოს შეძრწუნდა ამ დროს ბუნებაც:
შესწყდა ფრინველთა ჟივილ-ხივილი,
აღარ მოჰფენდა სიამოვნებას

ეროვნული ბიბლიოთეკა

კაცის გულს მათი სიმღერა ტკბილი.
დაიძრა ქარი ჯოჯოხეთური,
ხეებსა ჰგლეჯდა ბრაზით აღვსილი,
და ხეობათაც შეშინებულთა
მის მობერვაზე იწყეს ტირილი.
მზეც დაიმალა ცისა სივრცეში,
ნისლი მოირტყა გარშემო ბნელი;
უჯარმის ციხეს ძაძისა მსგავსად
გარს მოეხვია შავი ღრუბელი.
დაიწყო ელვა, ჭექა-ქუხილი,
შეირყეოდა მთელი სოფელი...
და შიშის ზარმა მოიცვა მსწრაფლად
მთასა და ბარში არსი ყოველი...
გააფთრებულმა ცამ დედა მიწას
დაასხა წვიმა კოკისპირული;
და იორიცა მეტად აზვირთდა,
გმირის დაკარგვით გულ გაბასრული.

VI.

სვეტისცხოვლისა ტაძრის შუაგულს
ქართველთ გათხარეს სამარე ბნელი
და მიაბარეს იქ შავს მიწასა
,,ქვრივთა მფარველი და ობოლთ მზრდელი''...
დიდმა პრტყელმა ქვამ ხალხის თვალთაგან
დაჰფარა მისი ცივი საფლავი,
მაგრამ დღემდისაც საქართველოში
მისი სახელი არის უკვდავი.

ილ. ჩ—პირელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

განთიადი ახალი ცხოვრებისა.



აფიცერი და მჭედელი.

VI

სამხრეთ შტატებში დაარსებული ბიურო დედ-მამისა, ბავშვებისა და ნათესავების გამოსაძებნათ, რომელნიც ომის დაწყებამდე გაეყიდათ მათ ბატონებს, ძრიელ მხნედ შეუდგა ნაკისრ საქმის ასრულებას. ყველა თხოვნები, რომელიც კი შემოიტანეს დაკარგულთა გამოსაძიებლათ, ისეთი კილოთი იყო დაწერილი, რომ თვით გულქვა და უსასტიკესი კაცის მოლბობა შეიძლებოდა. კანონის ძალით კერძო ოჯახის წევრების გაყიდვა აკრძალული იყო; მაგრამ ბატონები ამ კანონსაც ხრიკს უდებდენ. ისინი, მაგალითად, გაგზავნიდენ პატარა ზანგ ქალს რაიმე საქმისთვის ქალაქში, სანამ ის დაბრუნდებოდა, მისი მშობლები სადმე მიჰყავდათ, შემდეგ მათ ჰყიდდენ. როდესაც სათითაოდ ჰყიდდენ ზანგებს— გაცილებით მეტ ფულს იღებდენ.

ხშირად მოხდებოდა ხოლმე, რომ ზანგის ოჯახი გაფანტული იყო ოთხ-ხუთ შტატებში. ნაყიდი ზანგი უფრო მეტათ მიჰყავდათ პლანტატორებს სამუშაოთ და ისინი მოშორებული იყვენ მთელ ქვეყნიერობას, თითქოს მათთვის აღარა არსებობდა რა. ახალი ბატონები ხშირად უცვლიდენ მათ სახელებს და ისეთებს უგონებდენ, როგორსაც ძაღლებს უწოდებენ ხოლმე.

ახლად გახსნილი ბიუროები მთელი დღე ხალხით სავსე იყო, შიგ მყოფ მოხელეებს შუაღამემდე გარს ეხვივნენ. ამ ბიუროში ყველაზე მეტათ ქალები მოდიოდენ, რომელნიც დაე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძებდენ შვილებს, ძმებს, ქმრებსა. ისინი ცრემლ მორეულნი უამბობდენ ყველას თავიანთ მწუხარებას, მაგრამ რადგანაც ბატონები მათ ვაჭრობას საიდუმლოთ ახერხებდენ ხოლმე, ამიტომ ძრიელ ძნელი შესატყობი იყო, სად გადაჰკარგეს და სად გადახვეწეს მათი ოჯახის წევრები. ბიუროში თავდაპირველათ ხშირად შემოდიოდენ დედ-მამა იმ ორი პატარა ქალისა, რომელთაც მიმართეს აფიცერს გელდორნს; როგორც ნათქვამი გვქონდა, ამ ბავშვებმა წინეთ სთხოვეს აფიცერს ეშველა და ეპოვა მათი დედ-მამა.

ამ ბავშების მშობლები ისე შეწუხებული შეიქნენ ბოლოს, რომ აღარც კი რამეს კითხულობდენ ბიუროში და არც გული ჰქონდათ მიეღოთ მონაწილეობა ამ საზოგადო მხიარულობაში.

ისინი ცხოვრობდენ პატარა ქალაქ დონერვილში—მამა ლიდისა და პოლისა მჭედელი იყო. თვითონ ცოლქმარს ბინა ჰქონდათ სამჭედლოს უკან, გვერდში გაშენებული იყო კარგა შემუშავებული პატარა ბაღჩა.

აფიცერ გელდორნს შემთხვევით მოუხდა გავლა ამ პატარა ქალაქში, სადაც ამ ყმაწვილების მამის სიპის სამჭედლო იყო.

ახლა მოხუცს სახელად ამოერჩია ედუარდ გამილტონი. კვირა დღე იყო. სამჭედლო დაეკეტათ, რადგანაც სასულიერო წოდება ზანგებს უქმე დღეებში მუშაობას უკრძალავდა. აფიცერს კი გზაში ცხენი დაუკოჭლდა და სამჭედლოში უნდა ნალი გამოეცვლევინებინა, უამისოდ კი ველარ განაგრძობდა გზას. დაუწყო სამჭედლოს კარებს ბრახუნი, მაგრამ არავინ უღებდა. რაღას იზამდა? მან გარს შემოუარა სამჭედლოს და უკანა კარებიდან შევიდა მჭედლის სახლში. ის თავს წაადგა მჭედელს და მის ცოლს, რომელნიც ცხარე ცრემლით ტიროდენ.

გელდორნმა, სანამ თავის საქმეზე რასმეს იტყოდა, ჰკითხა ზანგს,—რა უბედურობა გეწვიათ, რომ ასე ტირითო.

აღელვებულმა ზანგმა უამბო თავის უბედურობა:

— დღეს სწორეთ ერთი წელიწადი შესრულდა მას აქეთ,

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაც ჩვენ მოგვაშორეს ჩვენი ორი პაწია ქალი. ისინი წაიყვანეს და, ღმერთმა უწყის, სად ეყოლებათ, ან ვისთანა? რა ხდება მათ თავს? ცოცხლები არიან თუ მკვდრები? სად დაწანწალობენ ობლათ? ისინი ჯერ კიდევ ხომ ძრიელ პაწაწინები იყვენ!

ზანგს აღარ შეეძლო მეტი ლაპარაკი. ცრემლი ახრჩობდა მას,—მეტის მეტათ შეწუხებულმა თავი ჩაქინდრა.

სამარის სიჩუმე ჩამოვარდა ოთახში, ნუგეშის ცემა შეუძლებელი იყო. მისი ცოლი კუნჭულში მოკუნტულიყო და მხოლოთ ხანდისხან სლოკინი გაისმოდა.

გელდორნმა ბოლოს შენიშნა:

— მთავრობამ ეხლა ხო ბიუროები გახსნა, სადაც შეგიძლიანთ მიმართოთ და დაკარგულ ოჯახის წევრების გამოძებნა მოჰკითხოთ. აბა ერთი სცადეთ, იქნება რამე გეშველოთ.

— ეჰ, იქაც მივმართეთ, მაგრამ არა გვეშველა რა! ჩვენ სახელებით არ ვიხსენიებოდით და არც ის ვიცით, სად წავიდა ის გემი, რომლითაც ჩვენი ბავშები წაასხეს.

— თქვენ რაღაზე გარჯილხართ, ჩემო ბატონო? ჰკითხა ზანგმა უცნობ აფიცერს.

— ჩემ ცხენს ნალი ავარდა, მე მინდოდა მეთხოვნა მისი დაჭედვა.

ზანგმა აღელვებით თვალები ძირს ჩამოუშვა.

— ჩვენი პასტორი ძრიელ სასტიკია, ის ხუთ დოლლარით დამაჯარიმებს, თუ გამიგო, მაგრამ, სულ ერთია, თქვენ ისეთი თანაგრძნობით გამომკითხეთ..... დაე, დამაჯარიმოს, ეხლა მე თავისუფალი ვარ და საკმარისათ ვიმუშავებ ჩემთვის; ჩვენ ორს რა ხარჯი გვაქვს. განაგრძო მან მწუხარების ხმით. —სად არის თქვენი ცხენი?

— აი, აქ კარებთან!

— კარგი, მე ეხლავე დავჭედავ მას.

ედუარდ გამილტონმა გააჩაღა ცეცხლი სამჭედლოში, გამოსძებნა რკინის ნაჭერი და საქმეს შეუდგა.

სანამ მჭედელი მუშაობდა, გელდორნმა გამოჰკითხა მის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცოლს დაკარგული ბავშვების ნიშნები, მათი წლოვანება და ყველაფერი ჩაიწერა უბის წიგნში.

— ჩემი ბავშვები, სერ, შვიდი-რვა წლისა იქნებოდენ. უმცროსს—პოლის ეძახდენ, უფროსს—ლიდდის.

— ფერი რა ნაირი ჰქონდათ?

— თითქმის სულ შავი; დიდრონი ბრწყინვალე თვალები პოლის ზედ შუბლზე, მარცხენა თვალის ზემოთ პატარა ჭრილობა ჰქონდა, ის ჯერ პატარა იყო, როცა ყინულზე წაიქცა... ამ ჭრილობას ნუ დაივიწყებთ.

— არა. თქვენ რაღა გქვიანთ?

— ჩემ ქმარს ედუარდ გამილტონი.

— არა, ეს მე არაფრად მესაჭიროება. რა გერქვათ თქვენ განთავისუფლებამდინ?

ქმარს სიპი—მე კი სარა.

გელდორნმა ჩასწერა სახელები, შემდეგ როგორღაც დაბნეულად შეხედა ამ დედაკაცს, თითქოს რაღაცას იგონებსო.

— ბავშვებს რაღა ერქვათ?

— ლიდდი და პოლი, სერ.

— ლიდი, ლიდი!—გაიმეორა აფიცერმა,—თქვენ კი სიპი და სარა. სადღაც გამიგონია ეს სახელები!—აა!—უეცრივ მოიგონა მან.

— თქვენ ბატონს რაღას ეძახდენ? არა, არა მე თვითონ მოვიგონებ, ნუ მეტყვით. მე მყავდა მეგობარი, რომელსაც ასეთივე გვარი ჰქონდა, მე ეს დამანახსოვდა ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც პატარა ქალებმა თავიანთ თავგადასავალი მიამბეს. მართლა, ბოიდი. მას ბოიდს ეძახდენ.

— ბოიდი, ეს ნამდვილია! თქვა ზანგმა, რომელმაც გაათავა მუშაობა და მოუახლოვდა ამათ, ასეა მისი სახელი.

— ბოიდი! ბოიდი! ასეა, ასე,—იმეორებდა გელდორნი —ლიდდი! ასე ეძახდენ პაწია ქალს, პაწიას და ისე მშვენიერს; ის თითქმის ბავშვი იყო.

— თქვენ ის გინახავთ? შეჰკივლა დედამ,—ღმერთო, იგსო! სადა, სადა? მითხარით, ღვთის გულისთვის, მითხარით.

— სადა, სადა? იმეორებდა გელდორნი და თავში ხელე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი მაგრათ წაივლო—სად იყო ეს? ჩვენ გალაშქრების დროს, ჯეორგის შტატში, სამხრეთ კაროლინაში, მაგრამ სად?

მან რამდენჯერმე გაიარ-გამოიარა ოთახში; საბრალო დედის თვალები ისე ჩააკვდენ მას, თითქოს იქიდან ელის სიკვდილ-სიცოცხლის განაჩენსო.

— მოვიგონე!—შეჰყვირა მან უეცრივ——საქმე ასე უნდა იყოს, თქვენ განშორდით ერთმანეთს ჩრდილოეთში, არა?

— სადა ნახევით ის? ჰკითხეს მას ცოლქმარმა ერთხმად.

— გაგიგონიათ რამე სავანზე?

— ეს დიდი ქალაქია სამხრეთში. ბევრი ჩვენი მეგობრები დაჰყიდეს იქ.

— მის მახლობლათ მდებარეობს პატარა ქალაქი ბელვილი. სავანიდან თქვენ ადვილათ შეგიძლიანთ გზა იპოვოთ იქ.

— და ჩემი შვილები იქ არიან? წაიჩურჩულა აღელვებულმა დედამ.

— იქ იყვენ, მაგრამ ქალაქშივე კიარა, არამედ მისტერ ტაილგრავის პლანტაციაში. უსათუოდ, ისინი ეხლაც იქ იქნებიან. უფროსი ლიდდა ძალიან მეკითხებოდა თავის მშობლების ამბავს.

— ო, ღმერთო ჩემო, ღმერთო ჩემო!—წამოიკვნესა საბრალო დედამ.

— როგორ მივიდე იქამდე? აკანკალებულის ხმით იკითხა ზანგმა.

— ყველაზე უკეთესი იქნება ნიუ-ორლეანის გზით მისვლა, თქვენ იქ დაგხვდებათ იალქნიანი გემი, ან ნავი და მით სავანში გადახვალთ. რკინის გზითაც შეგიძლიანთ იქამდინ მისვლა, თუ რომ მატარებლების მიმოსვლა განახლდა.

ზანგმა წაავლო ხელი ახალგაზდა კაცის ხელს და მინამ ის გონს მოვიდოდა, მოწიწებით აკოცა.

— რას ჩადიხართ, მეგობარო! შესძახა აფიცერმა.

— მე თქვენი მოვალე ვარ დღეის შემდეგ! მართალია, ფიცი დავსდე არასოდეს ქედი არ მომეხარა თეთრების წინაშე, მაგრამ თქვენ მაიძულებთ, რომ ჩემი ფიცი გავტეხო, რადგანაც თქვენ მიანიჭეთ ჩემს ცოლს ბედნიერება და სიცოცხლე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

სხვა რითი შემიძლიან მადლობა გადაგიხადოთ?

— მეც დიდად მოხარული ვარ, რომ უბრალო შემთხვევამ თქვენი სახლი მომაძებნინა. სულით და გულით გისურვებთ ბედნიერებას. ეხლა კი მშვიდობით. ღმერთი იყოს თქვენი მფარველი.

გელდორნი შეჯდა ცხენზე და გააჭენა მტვრიან გზაზე. მისი გული სიხარულით აღივსო, რომ შეიძლო ამ საბრალო დედ-მამის ნუგეშის ცემა.

შეხვედრა.

VII

სამხრეთი დამარცხდა და, მონობასაც ბოლო მოეღო: ზანგები განთავისუფლდენ. მართალია, პლანტატორები უბრძოლველათ არა ნებდებოდენ ჩრდილოელებს, მაგრამ მეტი ღონე არ იყო, ბედს უნდა დამორჩილებოდენ. იმის შიშით, რომ განთავისუფლებულმა მონებმა შური არ იძიონ ჩვენზეო, პლანტატორებმა მიანებეს თავი თავიანთ პლანტაციებს, ჩაიკეტეს ოთახის კარები და მწუხარედ გამოიყურებოდენ ფანჯრებიდან და მწუხარედ იგონებდენ წარსულ ბედნიერ ცხოვრებას. რაღა ცხოვრება იყო მათი ცხოვრება? მინდორ-ველები ერთიან გადაებუგათ ზანგებს, ნახირი აღარა ჰყავდათ, ყველაფერი რაღაცა სიზმარივით ეჩვენებოდათ, მაგრამ როდესაც სინამდვილეს წარმოიდგენდენ, ნაღველს ცრემლის დაღვრით იქარწყლებდენ.

ქალაქი ბელვილი მინგრეულ-მონგრეული იყო, აქა-იქ ობლად უპატრონოთ გამოიყურებოდენ ფანჯრებ და კარებებ ჩამტვრეული მიტოვებული სახლები. ყველგან კი დათარეშობდენ ზანგები. გამარჯვება მათ ეკუთვნოდათ და თავიანთ აღტაცებას სიმღერით გამოხატავდენ. ომი, სადაც კი მოხდება, კეთილის მიზნით არის თუ არა, სულ ერთია, მცხოვრებთა სარჩოსი გამანადგურებელია და ბევრი დრო და ჟამია საჭირო, რომ ყოველივე ეს თავის კალაპოტში ჩავარდეს.

სავანნიდან ბელვილში მიმავალ გზით მიდიოდა მაღალის

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტანისა, ჯანსაღი და ღონიერი ზანგი. ეს იყო ჩვენი ნაცნობი სიპი, მჭედელი დონნერვილიდან. შევიდა თუ არა ქალაქში, იკითხა ტაილგარდის სახლი, მაგრამ ამაოდ. სულ განაპირა უბანში, სადაც ქალაქი თავდებოდა, ის მიაწყდა ერთ დედაბერ ზანგს, რომელიც თავის ქოხის კარებში იჯდა და ძვლებსა ღრღნიდა.

— ჩემო ბატონო,—უთხრა მან,—ნება მომეცით გკითხოთ რამე... მაგრამ, მაპატიეთ, თქვენ ვგონებ მშიერი ხართ?.. სიპმა უნებურად შესწყვიტა თავისი კითხვა, როდესაც დაინახა, რომ ბებერი ძვლებსა ხრავდა.

— მშიერი და აგრე... ეხლა მე აღარავინ არასფერს მაჭმევს; თუ კეთილი ადამიანები არ დამივიწყებენ, კიდევ არაფერი, გავიტან თავს როგორც იქნება.

— აი პური,—უთხრა მოკრძალებით სიპმა და გაუწოდა პურის ნაჭერი.—აჰა, ეს და აი ეს ოქროდენი ფულიც, ბევრის მოცემა არ შეგიძლიან... მითხარით, თქვენ ხომ არ გეცოდინებათ ჩემი ბავშების ამბავი?

— თქვენი ბავშებისა? საიდან? როგორ?

— აქ ბელვილის მახლობლად იყო პლანტაცია, სადაც ორი პატარა ქალი ჰყავდათ მოახლეთ. მე მათი მამა ვარ და იმათ საძებნელათ წამოველ.

— არც ვიცი, არც მინახავს; მაგრამ დაიცათ, რაღაცა გამიგონია: ვგონებ აქ ბელვილში ცხოვრობდა ორი ობოლი. აი ამ გზით წადით. ისინი ეხლა როგორც მახსოვს, ამბობდენ ქალაქ გარეთ ისეთსავე ქოხში სცხოვრობენ, როგორშიაც ეხლა მე ვცხოვრობ.

სიპს აღარ დაუხანებია და აღელვებულმა გასწია შორი გზით და თან აქეთ-იქით იხედებოდა, ეზოებს ათვალიერებდა, იქნებ როგორმე წავაწყდე მათ კვალსაო, მაგრამ ამაოდ. ბოლოს მან დაინახა ზანგთა ბავშების ბრბო. ერთ პატარა ქალს ვილაც მოხუცი ახმახი დედაკაცი უშვერი სიტყვებით ლანძღავდა, საბრალო გოგონა კი გულ ამომჯდარი ქვითინებდა.

— რა საქმეს მიჭირვებ შენი ლიდდით! დამაცადე, როგორ გაგაწკეპლინო, აბა რა გესაქმება შენ მასთან?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— ლიდდი!.. რომელი ლიდდი? ათრთოლებული მივარდა დედაბერს მჭედელი და საშინლად აკანკალდა.—მერე ის აქ არის? იცნობთ? ღვთის გულისათვის, თქვით, მითხარით!..

— ჰო, ვიცნობ, მერე თქვენ რაო! მისი წაყვანა ხომ არ გინდათ? მერე ჩვენ კი აღარ გვკითხავთ? ვინ მოგვიკრეფს ხილეულობას სადილისთვის, თუ არ ის? ხილი კი ჩვენს თავ საჭმელს შეადგენს. ესეც არ იყოს, ეხლა მას წასვლა აღარსად არ შეუძლიან, რადგანაც და ავათა ჰყავს.

— სადა ცხოვრობენ?—ჰკითხა ფერწასულმა სიპმა და ათრთოლებული შეჰყურებდა მოხუცს თვალებში.

— აიგერა იქ, იმ სახლში.

სიპი გაეშურა მინგრეულ ქოხისაკენ, რომლის კარებშიც ცოტა ხნით შეჩერდა.

— ლიდდი,—შეესმა მას ბავშის ხმა,—ყელი მიშრება, წყალი დამალევინე.

— ეხლავ, ჩემო საყვარელო,—უპასუხა მეორე ყმაწვილმა,—ეხლავ მოგიტან. ყურძენი ხომ არ გინდა? მშიერი ხარ, მოგიტან, ცოტა ჭამევი, გენაცვა.

ზანგმა იცნო თავისი საყვარელი ბავშების ხმა და გულმა ძგერა დაუწყო.

— ლიდდი,— შეჰყვირა მან,—პოლი, ჩემო შვილებო, არ იცნობთ თქვენს მამას? აი, მე მოველ თქვენთან...

— მამა!—გაიმეორა გაკვირვებით ლიდდიმ,—ნუ თუ მამა?!.

— ლიდდი, მე ვარ, მე!.. სიპმა ველარ მოითმინა და გულში ჩაიკრა დიდიხნის უნახავი შვილები: ჩემო შვილებო, ჩემო სიხარულო!.. პოლი, საცოდავო, პაწიავ, შენ ავათა ხარ! მაგრამ ეხლა მამა შენთან ხარ, ნუ გეშინიან, ყველაფერი კარგად გამოიწყობა! მორჩები და დედასთან წაგიყვან...ო, რა ძიელ გაეხარდება, როცა შენს პაწია ხუჭუჭა თმიან თავს გულში ჩაიკრავს, ჩაგიხუტებს!..

მამაშვილები ერთმანეთს ჰკოცნიდენ და უამბობდენ თავთავიანთ თავგადასავალს. ისინი ისე ჩახუტულიყვნენ, თითქოს ეშინიანთ, ბოროტ ადამიანებმა კიდევ არ გაგვაშორონო. ბოლოს სიპი მოვიდა გონზე.

ეროვნული ბიბლიოთეკა

— დროს ნულარ ვკარგავთ, წავიდეთ! საცოდავ დედა თქვენს თქვენი მოლოდინით გული უწუხს, სული ელევა.

— მერე მამა,—პოლის რ-ომ სიარული არ შეუძლიან? —უთხრა ლედდიმ.

— მერე და ფეხით ვინ ატარებს, აქ არა ვარ, სულ ხელით ავიყვან სავანამდე, იქ კი მატარებელში ჩავსხდებით და პირდაპირ ჩვენსა მივალთ.

მზის ჩასვლისას, როდესაც საკმაოდ აგრილდა, სიპმა ფრთხილად აიყვანა თავისი ავათმყოფი ბავში და გზას გაუდგა. ლიდდი ყოჩაღად გვერდით მისდევდა და საძნივ ბედნიერებით აღვსავსილნი უნდა მიჰგებებოდენ ახალ ცხოვრების განთიადს.

აგერა მოვიდენ კიდეც დონნერსვილში, თავიანთ ჭერ ქვეშ. საბრალო სარა სიხარულით კინალამ გადირია. ცრემლები ღაპაღუპით სდიოდა ლოყებზე და გაგიჟებით ჰკოცნიდა ბავშებს. მოულოდნელმა სიხარულმა დაავიწყა ყველა ტანჯვა და ვაება, ხოლო ახლა წინ უდგენ ბავშები, რომელნიც მის მკერდზე მიყრდნობილნი მხურვალე კოცნით აძლევდენ ყოველ კითხვაზე პასუხებს... ეხლა მათ დედას ვერავინ ვერ წაართმევდა.

ო, რამდენ ოჯახში მიესალმებოდენ ასეთი სიხარულით მშობლები თავიანთ ჭერქვეშ დაბრუნებულ შვილებს და მათთან ერთად მიეგებებოდენ განთიადს ახალი ცხოვრებისას!....

ნ. კასრაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საზოგადოებისა და სახელმწიფოს ისტორიიდან

(გაგრძელება)

V. სოფლის მუშა ანუ გლეხკაცობა.



ეხუთე საუკუნიდან ქრისტეს შემდეგ ევროპის ცხოვრებაში იწყება ეგრეთ წოდებული საშუალ საუკუნეთა ისტორია. ამ პერიოდის პირველი ნახევარი (დაახლოვებით V—X საუკუნე), სხვათა შორის, იმითია შესანიშნავი, რომ ევროპაში იმ დროს სრულიად მოისპო თავისუფალი წვრილი სოფლელი მესაკუთრე: იგი იქცა მსხვილ და „კეთილშობილ“ მიწისმფლობელთა ყმად, დაჰკარგა პირადი თავისუფლება და მფლობელობა.

აი ამ ცვლილების მოკლე ისტორია.

საზოგადოთ საშუალო საუკუნეები და კერძოთ მათი პირველი ნახევარი მეტათ აწეწილ ხანას წარმოადგენდა დასავლეთ ევროპის ცხოვრებაში. ეს იყო დრო დაუსრულებელის საურთიერთო ბრძოლისა, სისხლის ღვრისა და ძალმომრეობისა. წვრილ მემამულეს არას გზით არ შეეძლო ამგვარი შფოთისა და არეულობის დროს დამოუკიდებლობა შეენარჩუნებია. როცა თავადები იბრძოდენ, ყოველი თავისუფალი კაცი ვალდებული იყო ომში მონაწილეობა მიეღო და ყოველვვარს სალაშქრო ხარჯს თავისი ქონებით გაძღოლოდა. ცხადია, ამგვარი სამსახური ძირს უთხრიდა თავისუფალი გლეხის კეთილ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეობას. მეორე მხრით, მას ყოველ წუთს შიში მოელოდა „ძლიერი კაცებისაგან". ამიტომ იგი იძულებული ხდებოდა თავისუფლებაზე უარი ეთქვა და რომლისამე მძლავრი მფლობელისათვის მფარველობა და პატრონობა ეთხოვა. თავისუფლებასთან ერთად გლეხი ჰკარგავდა თავისი მიწის მფლობელობასაც: ეს მიწა ამიერიდან მისი მფარველ-პატრონის საკუთრებად ჰხდებოდა. მართალია, პატრონ-ბატონი ამ მიწას ისევ გლეხს უტოვებდა მოსახმარად,—მაგრამ გლეხი ვალდებული იყო მთელი გამოსავლის განსაზღვრული ნაწილი ბატონისათვის ეძლია.

თუმცა მიწა გლეხს აღარ ეკუთვნოდა, მაგრამ ერთხელვე დამყარებული ჩვეულების ძალით, ბატონს არ შეეძლო იგი მშობლიური მიწა-წყლიდან გაედევნა; სამაგიეროთ არც გლეხს შეეძლო იქიდან წასვლა: ბატონს უფლება ჰქონდა გაქცეულ გლეხს უკან დასდევნებოდა და თავისსავე მამულში დაებრუნებია. ამგვარათ, გლეხი მიწაზე იყო მიბმული. ამავე დროს იგი ბატონის სურვილ-ნებაზედაც მტკიცეთ იყო მიჯაჭვული: ბატონის დაუკითხავად არ შეეძლო თავისი სურვილისამებრ მოქცეულიყო, თავისი ოჯახის წევრთათვის გზა მიეცა და თავისი ქონება მოეხმარა. ქალის გათხოება რომ სდომოდა სხვის მამულში, ნება-რთვა ბატონისაგან უნდა გამოეთხოვა და თანაც, ამგვარი „ზარალის" საზღაურად, ბატონისთვის ძღვენი უნდა მიერთმია. გლეხს არც თავისი ეზოდან შეეძლო გაეყიდნა რამე,—ამასაც ბატონის ნებართვა სჭირდებოდა. თუ გლეხი უვაჟოდ გადაშენდებოდა, მთელი მისი ქონება ბატონის ხელში გადადიოდა.

ამგვარათ, გლეხმა თავისუფლება დაჰკარგა და იქცა პატრონ-ბატონის მორჩილ მსახურად ანუ „ყმად". მეათე საუკუნის დამდეგს მთელს ევროპაში თავისუფალი მიწის მესაკუთრე გლეხობა ყველგან ჰქრება. თითქმის მთელი მიწა-წყალი ბატონების ხელში გადადის და ამ მიწა-წყალზე აუტანელ შრომაში სცხოვრობს ნახევარ-თავისუფალი „მდაბიო" ხალხი ანუ გლეხკაცობა. ერთი მხრით სდგას „კეთილშობილი" აზნაურობა ანუ ბატონები, ხოლო მეორე მხრით—„უაზნო" ხალხი

ეროვნული ბიბლიოთეკა

ანუ ყმები. აზნაურთა წოდებას ეკუთვნოდა აგრეთვე მაღალი სამღვდელოებაც. ამგვარივე წყობილება დამყარდა მე-9 და მე-10 საუკუნეში ჩვენს ქვეყანაშიაც.

თხრილებითა და მაღალი კედლებით შემოზღუდულ ციხე-დარბაზებში ცხოვრობდა კეთილ-შობილი მებატონე და განაგებდა თვისი ყმების ბედ-ილბალს. იგი იყო ამ ხალხის სრულ-უფლებიანი ბატონი, მის ხელში იმყოფებოდა მთელი მათი ქონება, სიცოცხლე და პიროვნული პატივი. ბატონზე საჩივარი არსად არ მიიღებოდა, რადგან,—როგორც მე-12 საუკუნის ერთი მწერალი ამბობს,—ბატონსა და ყმას შორის მოსამართლე ღვთის მეტი არავინ იყო.

ბატონი იმავე დროს მეომარიც იყო და ომი მის განსაკუთრებულ ხელობას შეადგენდა. ყოველგვარი შრომა მას თავისთვის სასირცხოდ მიაჩნდა: მისი აზრით, შრომისათვის მხოლოდ მდაბიო ხალხი იყო გაჩენილი. და აი სწორეთ ეს ხალხი უმზადებდა ბატონს ყველაფერს, რაც კი საჭირო იყო ბატონისათვის ომსა და საოჯახო ცხოვრებაში.

გლეხი ყმა ისე ერთ ნაბიჯსაც ვერ გადადგამდა, რომ ბატონისათვის რაიმე გადასახადი არ მიერთმია. იმ მიწის ნაჭერში, რომელიც გლეხს ეძლეოდა ბატონისაგან შესამუშავებლად, გლეხი უხდიდა მებატონეს პურს, ღვინოს, თივას, საქონელსა და ყოველგვარს მოსავალს; ამ გადასახადს იხდიდა როგორც მთელი ოჯახი („კომლი"), ისე თვითეული სული. ყოველი ყმა ვალდებული იყო თავისი ხორბალი უსათუოთ ბატონის წისქვილში მიეტანა დასაფქვავად,—და აქაც გადასახადი ხდებოდა, რა ზომისასაც ბატონი დააწესებდა. ბატონებს ყველგან გზებზე, რომელნიც მათს ადგილებზე გადიოდენ, ჯაჭვი ჰქონდათ გაბმული და კაცები ჰყავდათ დაყენებული, რომელნიც მხოლოდ მაშინ ახსნიდენ ჯაჭვს, როცა ურმიან-ცხენიანი მგზავრი ბატონის მიერ დაწესებულ ბაჟს გადაიხდიდა. თუ ვინიცობაა, ბატონი შორს სადმე გაემგზავრებოდა სალაშქროდ, ან მტერს ხელში ტყვედ ჩაუვარდებოდა, ყმა ვალდებული იყო ამ შემთხვევაშიაც ყოველი ხარჯი ეტვირთნა.

გადასახადებს გარდა, ყმები ვალდებული იყვენ კვირაში

ეროვნული ბიბლიოთეკა

რამდენსამე დღეს ბატონის საკუთარს მამულში ემუშავნათ*) ან სასახლეში გაეწიათ ბატონისთვის ყოველგვარი სამსახური. ამგვარს სავალდებულო მუშაობას ეწოდებოდი „საბატონო ბეგარა"; გლეხი სწმენდდა ბატონის ციხე-დარბაზის თხრილებს, შეაკეთებდა მის კედლებს, ყარაულობდა და გაჰყავდა გზები, რომლებზე გავლისთვისაც შემდეგ ბატონი მასვე ბაჟს ახდევინებდა.

თუ ბატონს მოეწყინებოდა,—გასართობად იწყებდა ნადირობას. მეტად ცუდი რამ იყო მაშინდელი ნადირობა. ნადირობის უფლება მარტო ბატონსა ჰქონდა; გლეხს კი არც ნადირობა შეეძლო და არც ნადირის მოკვლა მაშინაც კი, როცა ნადირი (მაგალ. კურდღლები და გარეული ფრინველები) მის ნათესს აოხრებდა. ხოლო, როცა ბატონი და მისი აუარებელი მხლებლები გამობძანდებოდენ სანადიროდ,—მაშინ კი საბრალო გლეხი მოვალე იყო ბატონის მექორეებსა და მეძაღლეებს მიშველებოდა და თან გულგრილათ ეცქირნა, თუ ამოდენა ხალხი როგორ უმოწყალოთ სთელავდა ფეხ ქვეშ მის ნაშრომ-ნაღვაწს ყანასა და მოსავალს.

კიდევ უფრო დამღუპველი იყო გლეხისათვის ბატონის მეორეგვარი გართობა—ომი. ბატონების ომებსა და შფოთს დასასრული არა ჰქონდა; და ყოვლისავე ამის მსხვერპლი ხდებოდა მშვიდობიანი მუშა-ხალხი. როცა რომელიმე მებატონე სხვა მებატონეს შეესეოდა, თავდაპირველათ მის გლეხებს აიკლებდა, გადასწვავდა, ამოხოცდა ან ტყვედ წაიყვანდა, ქონებას იტაცებდა, ყანებსა, ბაღებსა და ვენახებს აოხრებდა და სხვა...

ასე აუტანელი შეიქნა სოფლის მშრომელი ხალხის მდგომარეობა დასავლეთ-ევროპასა და ჩვენში მას შემდეგ, რაც აქ ბატონ-ყმობა დამყარდა.—ზოგიერთ ქვეყნებში გლეხებმა შესძლეს და დიდი მეცადინეობით ბატონებისაგან ფულით დაიხსნეს თავი; მაგრამ ამგვარი მაგალითები ძლიერ ცოტა იყო.

*) ბატონის მთელი სამფლობელო ორ დიდ ნაწილად იყოფოდა: ერთი ნაწილი გლეხებს ჰქონდათ მიცემული, მეორე კი ბატონის საკუთრებას შეადგენდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უმეტეს შემთხვევაში გლეხების მდგომარეობა შემდეგში უფრო და უფრო საძნელო შეიქნა. მაგალითად მე-16 საუკუნეში გერმანიაში მებატონეებმა ტყესაც კი ბაჟი დაადვეს; ასე რომ გლეხს უბაჟოდ შეშაც კი აღარ შეეძლო ეშოვნა. უწინ კი როგორც წყალი და ჰაერი, ტყე ყველას საკუთრება იყო.

კიდევ უფრო ცუდს მდგომარეობაში ჩაცვივდა მე-16 საუკუნეში ინგლისის გლეხკაცობა. ინგლისში ადრევე დაიწყეს გლეხებმა ყმობისაგან განთავისუფლება. მაგრამ ყოველი განთავისუფლებული გლეხი უმიწა-წყლოდ რჩებოდა, რადგან, ჩვეულების ძალით, ინგლისში მთელი მიწა-წყალი ბატონს ეკუთვნოდა. ზოგიერთი მებატონე უფრო სასარგებლოდ რაცხდა, სახნავ-სათესი მიწა საძოვარ იალაღად გადაექცია. ასე მოიქცენ ინგლისელი მებატონეები მე-16 საუკუნეში, როცა ევროპაში ძლიერ აიწია მატყლის ფასმა და ცხვრის მოშენება მეტად მომგებიანი წყარო შეიქნა. მათ უმოწყალოთ გარეკეს თავის მიწებიდან იქ მოსახლე გლეხები და მთელი მათი ნამუშევარი ადგილ-მამული საძოვარ იალაღებად აქციეს. ამგვარათ, რაღაც 30 იოდე წლის განმავლობაში თითქმის 50,000-მა გლეხის ოჯახმა დაჰკარგა მიწა-წყალი, 50,000-ი მეურნეობა მოისპო.

ამავე დროს ევროპაში თანდათან გაძლიერდა სახელმწიფო უფლება, რამაც კიდევ უფრო შეავიწროვა გლეხკაცობა. აქამდე გლეხი ინახავდა მხოლოთ ბატონსა და ეკლესიას; ამას შემდეგ კი მას სარჩენი გაუხდა სახელმწიფოც, მისი ათასგვარი დაწესებულებებით, ჯარითა და მოხელეებით.

ყველაზე მეტ გასაჭირში ჩავარდა სახელმწიფოსაგან მე-17 და მე-18 საუკუნეში საფრანგეთის გლეხკაცობა. გლეხები გაჰყავდათ გზების გასაკეთებლათ და შესასწორებლად, ყაზარმების ასაგებად, ჯარის სხვა და სხვა გვარი ტვირთის გადასაზიდად და სხვ. ამავე დროს მათი ყანები დაუმუშავებელი რჩებოდა. ამგვარი სავალდებულო შრომისათვის სახელმწიფო გლეხს ერთს კაპიკსაც არ აძლევდა, გლეხები ვალდებულნი იყვენ ამ მუშაობის დროს თვითონ ეშოვნათ როგორც თავისი, ისე საქონლის საკვები. ძლიერ სამძიმო იყო საფრანგეთის გლეხების-

ეროვნული ბიბლიოთეკა

თვის სახელმწიფო გადასახადიც, რადგან ხაზინას ძლიერ ბევრი ფული სჭირდებოდა. მაგალითად ლუდოვიკო მე-XVI-ეს ყოველ წლივ მარტო სუფრის ფულად სამი მილიონი მანეთი ეძლევოდა ხაზინიდან. ადვილი წარმოსადგენია, თუ რა დიდ-ძალი ფული უნდა დახარჯულიყო ათასგვარი მოხელეების ჯამაგირებსა და პენსიებში. სახელმწიფო გადასახადის ამკრეფი მოხელეები შეძლებულ პირებს ვერ უბედავდენ შეწუხებას, მაგრამ სამაგიეროთ ძლიერ ავიწროებდენ უმწეო გლეხკაცობას. უკეთუ ხარკის-ამკრეფი რომელსამე სოფელში მთავრობის მიერ გადაწყვეტილ ფულს სრულათ ვერ შეჰკრეფდა,—თან წაიყვანდა შეიარაღებულ რაზმს, და ვაი მაშინ ამ სოფელს! შეუბრალებელს მოხელეს გაჰქონდა სოფლიდან ყველაფერი, რის გაყიდვა და ფულად ქცევაც კი შეიძლებოდა: პირუტყვი, ავეჯი, ჭურჭელი, იარაღები, ზოგჯერ სახლის კარ-ფანჯრები და დარაბებიც კი; მოხელეები მზად იყვენ გლეხის მთელი ქოხიც კი დაექციათ, რათა ბოძებისა და გადასაკიდლების გაყიდვა მოეხერხებიათ როგორმე. ძლიერ დიდი იყო საფრანგეთში ეგრეთ წოდებული „არა პირდაპირი გადასახადიც“. ამ გადასახადთაგან ყველაზე უსაზიზღრესი იყო მარილის გადასახადი. მარილის ვაჭრობა მთავრობამ თავის მონოპოლიად გამოაცხადა და თანაც ყოველ გლეხს დაავალა ოჯახის თვითეულ წევრისათვის ყოველ წლივ ეყიდნა არა ნაკლებ 7 გირვანქა მარილისა. ამ ვალდებულებისაგან სიღარიბეც კი ვერავის იხსნიდა. საფრანგეთის ოლქებშიო,—ამბობს ერთი მწერალი მე-18 საუკუნისა,—ყოველ დღე შეგიძლიათ ნახოთ, თუ როგორ უყიდიან საცოდავ ღატაკ ხალხს ქონებას, რადგან მარილის ყიდვა ვერ მოუხერხებიათო.

ერთი სწავლულის გამოანგარიშებით, საფრანგეთის გლეხი მე-18 საუკუნეში იმდენს ხარჯს აძლევდა სახელმწიფოს, ბატონსა და ეკლესიას, რომ თვით მას თითქმის თავისი თავისა და ოჯახის გამოსაკვებიც კი აღარა რჩებოდა რა. ყველგან სასტიკი სიღარიბე და შიმშილობა იყო გაბატონებული. უქმელობისა და უზომო შრომისაგან სოფლის მუშა გლეხკაცობას ადამიანის სახეც კი აღარ ედვა. ამავე დროს ბატონე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბი განცხრომით ცხოვრობდენ და ხელ-ფეხის განძრევაც კი ეზარებოდათ. მათთვის, მაგალ., დაჭრილ-დამზადებული შეშის ცეცხლში ჩაგდებაც კი საძნელო იყო. უმხლებელოთ ვერსად წავიდოდენ და ულბრალო სავარძელის ახლო მოსაგორებლადაც კი მოსამსახურე სჭირდებოდათ. ერთი სიტყვით მოსამსახურეები იყვენ მათი ხელი და ფეხები.

დიდხანს ითმენდა გლეხკაცობა ამგვარს გაჭირვებას დასავლეთ ევროპაში. მაგრამ მე-12 საუკუნიდან მის მოთმინებასაც ბოლო მოეღო და დიდის ხნის ბალღამმა იწყო აქა-იქ ამოხეთქა. 1358 წელს აჯანყდა საფრანგეთის გლეხკაცობა ოცდაოდე წლის შემდეგ თავი წამოჰყვეს ინგლისის გლეხებმაც. მსგავსივე აჯანყება გამეორდა მე-16 საუკუნეში გერმანიაში. აჯანყება მოახდინეს რუსის გლეხებმაც მე-17 და მე-18 საუკუნეში სტენკა რაზინისა და პუგაჩევის თაოსნობით. დასასრულ, საფრანგეთში 1789 წელს დიდი რევოლიუციის დროს სამუდამოთ მოისპო ბატონყმობა და უფლების მხრივ საფრანგეთის ყოველი მოქალაქე, წოდების განურჩევლათ, თავისუფალ არსებად იქნა გამოცხადებული.

ამას შემდეგ დაიწყო ყველგან ევროპაში ბატონყმობის გაუქმება. მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, ყირიმის ომის შემდეგ, რუსეთმაც ნათლათ დაინახა, თუ რა დამღუპველიც იყო მისთვის ბატონ-ყმობის წესები. ეს წესები ძლიერ აბრკოლებდა მრეწველობისა და ვაჭრობის განვითარებას, რადგან ყმად ქცეული ხალხი ნაყოფიერათ ვერ მუშაობდა, ლატაკი იყო, და ამიტომ არც სამრეწველო საქონელს ჰქონდა ხალხის უმრავლესობაში გასავალი; უამისოთ კი მრეწველობის განვითარება ყველგან და ყოველთვის დიდათ დაბრკოლებულია. სწორეთ ამისგამო ვაჭრებისა და მრეწველების კლასმა მხარი დაუჭირა რუსეთში ბატონყმობის გაუქმებას.—ამას გარდა ზოგიერთი შეგნებული მებატონეებიც ამ რეფორმის მომხრენი იყვენ. იგინი ცხადათ ხედავდენ, რომ უცხოეთში ერთი თავისუფალი მუშა უფრო მეტს აკეთებდა, ვინემ ორი და სამი რუსის მუშა; საბატონო ყმის ხელში ხორბალი ერთი-სამად იძლეოდა მოსავალს, თავისუფალი მუშის ხელში კი—ერთი რვა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

და და ერთი-ცხრად.—დასასრულ, ბატონყმობის გაუქმებას მედგრათ მოითხოვდენ თვითონ გლეხებიც; მათ შორის არასოდეს არ შეწყვეტილა მღელვარება, რომელიც მთავრობას დიდ საგონებელში აგდებდა და მოსვენებას არ აძლევდა ყველა ამ მიზეზებმა ერთად რუსეთის მთავრობას 1861 წელს გლეხებისთვის თავისუფლება გამოაცხადებია. სამი წლის შემდეგ ამგვარივე თავისუფლება გამოაცხადეს საქართველოშიაც, სადაც საამისოდ ნიადაგი უკვე დიდის ხნიდან იყო მომზადებული. ახლა ყველგან ევროპაში გლეხი უფლების მხრივ სხვა წოდებებთანაა გათანასწორებული. მაგრამ ეს იმას კი არ ნიშნავს, ვითომც იგი კეთილდღეობაში იმყოფებოდეს. არა, მას დღესაც ბევრი ტანჯვა-წვალება ადგია, განსაკუთრებით იმის გამო, რომ საკმაო მიწა-წყალი არა აქვს.

ასეთია სოფლის მშრომელი ხალხის დღევანდელი მდგომარეობა.

ს. გორგაძე.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დევთა ბრძოლა

(დეგენდა)

ტურფა და კეკლუცი ქვეყანაა კავკასია და კერძოდ საქართველო, —

„ორ ზღვასა შუა მდებარე
ქართველთა მიწა-წყალია“, რომელიც
„ჰყვავის და ჰყვავის მუდმისად,
ყინვისგან დაუმძრალია!“

მის მიუვალ კლდე-ღრეებსა და ბუმბერაზ მთებს, — „მდუმარედ ცათამდი აყუდებულთ“, რომელნიც

„სხედან ვით დევნი სპეტაკის
ყინულ გვირგვინით შემკულნი“; მის შფოთიან ჩანჩქრებს, რომლისა

„წყალნი, მთით დაქანებულნი,
ალმასებრ უფსკრულს სცვივიან;
რბიან და რბიან ღრიალით,
კლდენი ბანს ეუბნებიან“, — მისს წალკოტად გადაქმულ მთა-ბარს, რომელიც არის

„დამატკბობელი სულისა:

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაზი ვარდს გადაჰხვევია,

გამლაღებელი გულისა“,—მისს მომხიბვლელ ბუნებას საზოგადოდ არა ერთ და ორ დიდებულ პოეტისთვის აუძგერებია გული, ჩაუბერავს მათთვის ზეგარდმო მადლი და აუმღერებია ჩანგზე მის საქებ სადიდებლად!

ათასნაირი საოცნებო გარდამოცემაა დარჩენილი საქართველოს მთებსა და მივარდნილ კუთხეებში მცხოვრებ მთიულებში, რომელთაც დიდის სასოებითა და პატივისცემით შეუნახავთ ეს გარდამოცემანი და ლექსად გამოთქმული, ან უბრალო ამბად მოთხრობილი გადაუციათ, როგორც დაუფასებელი საუნჯე და ძვირფასი მემკვიდრეობა, მამა-პაპებს შვილებისა და შვილიშვილებისთვის, ერთ თაობას მეორე თაობისათვის.

მთიულს თავისი უმანკო ფანტაზიით განუხორციელებია მის გარეშე მყოფი უძრავი საგნები, ჩაუდგამს სული მთებისთვის, რომლებსაც სიყრმიდანვე შეჩვევია, შეთვისებია და სულითა და გულით შეჰყვარებია.

ერთი ამგვარი თქმულობა შეეხება იალბუზის გარშემო აყუდებულ სიმაღლეებს და თვითონ იალბუზის მთას, რომელიც თეთრ ყაბალახ-ნაბად წამოსხმული ჩამდგარა შუაში, როგორც პატრიარქი და მედიდურად გაცქერის თვალ-უწვდენელ ჰორიზონტს.

—

ეს იყო დიდი ხნის წინად, როცა ჩვენი მამა-პაპა და პაპის პაპები კი არა, აწინდელ ადამიანთა და პირუტყვთა მსგავსებაც კი არ მოიპოვებოდა ქვეყნად! მაშინდელი ნადირები გაცილებით დიდი და ძლიერი ყოფილან ახლანდელ ლომებსა, ვეფხვებსა და სპილოებზე. ადამიანის მაგივრად იმ დროს კავკასიაში უცხოვრიათ ტიტანებს, ე. ი. დევ-გმირებს, გოლიათებს, რომელთაც ეპყრათ მთელი ეს ქვეყანა, აშენებდნენ მიუდგომელ ციხე-დარბაზებს და სასახლეებს, რომელთა ნანგრევები ამ ჟამათაც ბევრგან მოიპოვება საქართველოს სხვა- და სხვა კუთხეებში.

ყველა დევების უფროსი ყოფილა ერთი თავადი, სახე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლად იალბუზი, უშველებელი ტანისა და თოვლივით სპეტაკი მოხუცი.

იმისი თეთრად გადაპენტილი თმით შემოსილი თავი შორს, ძალიან შორს მოჩანდა. ისეთი ხნიანი იყო იალბუზი, რომ თვითონაც არ ახსოვდა, როდის იყო დაბადებული. და არც სიკვდილის დღეს მოელოდა როდისმე. აი, ასეთი ხანგრძლივი სიცოცხლე ჰქონდათ მინიჭებული მაშინდელ დევგმირებს.

თუმცა ასეთ მოხუცებაში იყო თავადი იალბუზი და არც მოძრაობა შეეძლო,—მუდამ ერთ ადგილას იყო აყუდებული,—მაგრამ არწივისებურის გამჭრიახი თვალით ძალიან შორს ჰხედავდა მთელ თავის საბრძანებელს, თვალს ადევნებდა ყველა ტიტანების ყოფა-ცხოვრებას, იმათ მოქმედებას და იცოდა, სად რა ხდებოდა.

იალბუზის ფერხთ ქვეშ სხვა მომცრო ტანის ტიტანებიც იდგნენ მორჩილ და ერთგულ დარაჯებივით, მაგრამ როგორც ქვეშევრდომებს, არ შეეძლოთ შიშითა და რიდით ადგილიდან დაძრულიყვნენ, ან თავიანთ მბრძანებლის სიმაღლემდე ამართულიყვნენ.

ზაფხულის შვენიერი დღე იყო. ცა მოწმენდილ-მოკრიალებული დაცქეროდა ქვეყნიერობას. მზის მხურვალე სხივებს ღრუბლები სულ ერთიან მიმოეფანტა ჭალარა თმიან იალბუზის გარეშემო და ირგვლივ ყველაფერი ცხადათ მოჩანდა.

იალბუზმა თვალი გადაავლო თავის საბრძანებელს და სადღაც შორს ერთი შვენიერი ქალწული დაინახა.

მის ლამაზ თავსა და ლერწამ ტანს ერთმანეთში შეგრეხილ-შექსოვილი მწვანეთ მობიბინე მცენარეების ტოტები და ფერად-ფერადად შემოხვეული ყვავილები ამშვენებდნენ.

ამ სიცოცხლის მოტრფიალე ქალწულს განცხრომა-აღტაცების ელფერი ედო და ტუჩებზე მხიარული ღიმილი უთამაშებდა. შეჰკრთა იალბუზი იმის დანახვით, მოიხიბლა იმის სიმშვენიერით და თავისი ქუხილის ხმით შესძახა:—ვინა ხარ შენ მანდ?

ეროვნული ბიბლიოთეკა

— გარშემო აყუდებულ ყმა დევ-გმირებმა მაღალის ამოძახილით გაიმეორეს ბატონის სიტყვები, გარდასცეს ერთმანეთს და ბოლოს მიაწვდინეს ხმა ქალის ყურებამდე. განცვიფრებით მოიხედა ქალწულმა იალბუზისკენ, საამო ღიმილით დააჯილდოვა ის და უპასუხა:

— მე მეკითხებით, ბატონო, ვინა ვარ?!

— დიახ, შენ! დაიქუხა იალბუზმა და სხვა დევებისგან გამეორებულმა ამოძახილმა გადასცა ქალწულს ეს სიტყვები.

— მე ვარ ყაბარდოელი ქალი! წარმოსთქვა ტურფა ასულმა.

წყნარმა ნიავმა მოიტაცა ქალის ნაზი ხმა და მსუბუქი ფრთებით გააფრინა თავადისაკენ.

— რა გქვია შენ, მშვენიერო ქალო?

— მაშუყი! მიუგო ქალმა.

— მაშუყი?! რა კაი სახელია!.. აბა, აქეთ მოიხედე, მაშუყ, და დასტკბი ჩემი სამეფოს ცქერით! იცი, რა დიდებული და ძლევამოსილი ვარ? რამდენი ერთგული მონა-მოსამსახურეები მახვევია გარშემო?.. თუმცა ღრმა მოხუცებულობის დაღი მაზის და მართლაც ჩემი ხნისა ქვაც არ იქნება დედამიწაზე, მაგრამ ჯერ კიდევ ვინ იცის, რამდენი ხნის სიცოცხლე მიწერია!.. დახე, ჩემ ფეხთ ქვეშ გაშლილ ამწვანებულ ხავერდის ველზე რა ბროლივით ანკარა ნაკადულები მოწანწკარებენ? ჩემზე მაღალი, ხომ ჰხედავ, მხოლოდ ლაჟვარდი ცის კამარაა! შემომხედე, რა ბჟყვრიალა ალმასებითა და ბრილიანტებით შემკული ბოხოხი მხურავს!.. ამასთან ისიც უნდა იცოდე, რა სიმდიდრის პატრონი ვარ!.. ჩემ სამფლობელოს გულში აურიცხველი საუნჯე ძევს,—ძვირფასი თვლები, ოქროსა და ვერცხლის ზოდები აწყვია!.. შენ კი... შენ მარტო ერთად-ერთი სამკაული გამშვენებს,—მწვანე მცენარეების გვირგვინი, რომელიც დღეს თუ ხვალ დაჭკნება, გაყვითლდება, გახმება და ჩამოგცვივა!.. მოდი ჩემთან, შვენიერო, რომ შეგმოსო სპეტაკი თოვლის სამოსელი და შეგამკო ძვირფასის თვლებით!.. ჩემი მონები შენ მონებად გახდებიან და თავს შემოგევლებიან. ჩემი ხეობების საამოდ მოდუდუნე ანკარა ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კადულები ტკბილად გიმღერებენ; მზის სხივები ათასფერ ცისარტყელას შემოგაკრავენ წელზე და შენს ტურფა ტანს შარავანდედს მოგფენენ!.. მოდი, მოდი ჩემთან და მეც, სანამ ქვეყანა არ დაიქცევა, შენი მომვლელი, შენი მოტრფიალე, შენი პატრონი ვიქნები!..

დარაჯად მდგარ ყმების პირიდან ამოძახილმა მიაღწია მაშუყს ყურებთან და გადასცა უმეტნაკლებოდ მოხუცი თავადის სიტყვები!.. მაშუყმა ბებერს გაუღიმა, ალერსიანად გადახედა და უარის ნიშნად თავი გაიქნია

— არა, ბებერო, შენი ალერსი მე გულს ვერ გამითბობს!... შენი საბრძანებელი დიდი და მდიდარია, მაგრამ ცივია, რადგანაც ქვისაა; შენც თვითონ ქვა ხარ და გულიც ქვისა გაქვს!.. შენ არა გაქვს სიბრალული; შენს გამოფიტულ გულსა და გამშრალ თვალებში არ მოიპოვება თანაგრძნობის ცრემლი!.. შენი წყარო-ნაკადულებიც ცივია!.. ჩემ თბილ გულში კი მაცოცხლებელი ცრემლთა მორევია დაგუბებული. და მრწამს, რომ ეს ცრემლის გუბე როდისმე გადმოხეთქს და ჩემ თვალებიდან ნაკადულად გადმოვა! შენ გამყინავ შენის თოვლიანის საფარველით, დამახჩობ შენის ლოდებით და უსარგებლოდ ჩამკლავ!.. მე კი სიცოცხლე მწყურია, მინდა რაიმე სარგებლობის მოტანა!..

— თუ ზიზილ-პიპილა ყვავილები და მწვანით მოსილი ბუნება უფრო მოგწონს, ისიც უხვათა მაქვს, უთხრა იალბუზმა.

— მე შენი არაფერი მომწონს და არც მინდა, ბებერო!.. მე შენთან ვერ მოვალ, რადგან საქმროდ არჩეული მყავს ახალგაზრდა, მხნე და ჯან-ღონით სავსე ჭაბუკი!

— რაო?! ახალგაზდა და მხნე ჭაბუკი?! და მე მცვლი იმაში?!. დაიქუხა იალბუზმა, დააკრაჭუნა კბილები და ისე მრისხანე მუქარით გააქნია თავი, რომ მთებიდან მოსკდა თოვლისა და ყინულის ზვავები და საშინელის ღრიალით ხევებში ჩამოწვა...

— დამისახელე, ვინ არის შენი ჭაბუკი? დამანახვე შენი

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქები ვაჟკაცი და მე გაჩვენებ, რა შვილი ბრძანდება!.. ვნახოთ, ვინ გამოჩნდა ჩემ საყმოში ჩემი მოცილე, ჩემი მეტოქე!.. მომგვარე შენი არჩეული საქმრო, თუ თავი მოძულებია და სიცოცხლე მოსჭარბებია!!..

შეკრთა ნორჩი და გაუბედავი გული ქალწულისა საშინელის რისხვის ხმით და ჯერ კიდევ გონს ვერ მოსულიყო ენა ჩავარდნილი, რომ უცებ მრისხანე იალბუზის წინ ვიღაც გოლიათი აეყუდა.

— შენ გსურს, თავადო, ჩემი ნახვა? აჰა, გიახელით! უთხრა მან გაბედულად და თვალი თვალში გაუყარა: ჩემი სახელის გაგება გინდოდათ, მგონი?.. კარგი... მე მქვია ბეშტაუ!.. დიახ, მე ის ბეშტაუ გახლავარ, რომელსაც უყვარს მაშუყი!.. და არავის არ დავუთმობ მას... არც შენ, უძლეველო თავადო იალბუზ, სანამ პირში სული მიდგია!!.. თუ გნებავთ ჩემი ძალა გაშინჯოთ, არც ამაში გაგექცევი,—მობრძანდი და მზად გახლავარ! უთხრა მამაცმა ბეშტაუმ, მოუქნია ხმალი და ისე ლონივრად დაჰკრა იალბუზს, რომ გაჭაღარავებული თავი შუაზე გაუჩეხა.

ამიტომ არის, რომ იალბუზს აქვს ორად გაყოფილი თხემი!

იალბუზს სიბრაზით ცახცახი მოუვიდა. იმისი კვნესისა და ღრიალის ხმა გრიგალივით შორს გაისმა. ასტყდა ჩოჩქოლი იალბუზის მცველებთა შორის, რომლებიც იწევდნენ თავხედ ბეშტაუსაკენ პასუხის !აგებლად; მაგრამ იალბუზმა ყველანი შეაყენა და მტერს მაინც თვითონვე შეება. გაიმართა ბრძოლა ორ დევთა შორის, ბრძოლა ისეთი საშინელი, რომლის მსგავსი ჯერ კაცის თვალს არ ენახა!..

დიდხანს იბრძოლეს გოლიათებმა და ბოლოს იალბუზმა ბეშტაუ დაჩეხა, ხუთ ნაწილად აქცია და მიაკრა სამარადისოდ იმ ალაგას, სადაც ერთმანეთს შეებრძოლენ...

მას აქეთ ბეშტაუს მთა ხუთ წვერვალისგან შესდგება!..

თვითონ იალბუზიც მოიქანცა, ჯანღონე გამოელია, დადუმდა და სამუდამო ძილით მიიძინა!... აი, იმ დღიდან აქამომდე სძინავს მას გაუღვიძარის ძილით!.. მის ორად გაჩე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხილს თავს თოვლის, ღრუბლისა და ნისლის სქელი სუდარა შემოეხვია!..

საბრალო მაშუყმა რომ თავისი დანიშნული დამარცხებული დაინახა, ჯავრით სისხლი გაუშრა და გაქვავდა. მის გულში დაგუბებულმა ცრემლის მორევმა წამოხეთქა და თვალებიდან დენა იწყო!.. მას აქეთია მისტირის ის თავის ძვირფასსა და საყვარელს ბეშტაუს და ცრემლი ნაკადულივით ჩამოსდის კეკლუც ტანზე... ხალხი სარგებლობს ამ ცრემლის წყაროებით: იღებს იქიდან წყალს, რომელიც ნუგეშსა სცემს ყველას იმითი, რომ ჰკურნავს სხვა და სხვა სნეულებას. აი, რისთვის არის მაშუყის მთა განთქმული თავისი სამკურნალო წყაროებით?..

თეოფ კანდელაკი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ღარიბების მეგობრები.

VII

ენ სიმონი, ფურიე, რობერტ ოვენი ითვ-ლებიან უტოპიურ სოციალისტებათ. რათ უწოდებენ იმათ სოციალისტებს? ისინი თავის კაბინეტში იჯდენ, სოციალისტურ წყობილებს იგონებდენ და დარწმუნებული იყვნენ: რასაც ვიტყვით, ყველა დაგვიჯერებს, და ცხოვრების გარდაქმნა ადვილი საქმე იქნებაო. თვითონ ცხოვრება საითკენ და როგორი საზოგადოებრივი წყობილებისაკენ მიდიოდა, ამას ისინი ყურადღებას არ აქცევდენ და ეგონათ: ადამიანს საითაც უნდა, იქით წაიყვანს ცხოვრებას, მხოლოთ თავისი განზრახვის სარგებლობაში ყველა უნდა დაარწმუნოსო. ეს ყველას დარწმუნება იმათ ადვილი საქმე ეგონათ და ყოველგვარ პოლიტიკურ ბრძოლას უარყოფდენ. ბრძოლა რა საჭიროა, როცა ტკბილის სიტყვით ქვეყნის გადატრიალება შეიძლებაო, აი მათი შეხედულობა. ისინი ვისაც ტკბილის სიტყვით სოციალიზმის განხორციელება ოცნებათ მიაჩნიათ ამ სოციალისტებს უძახიან უტოპისტებს, ე. ი. ოცნების, განუხორციელებელი მიზნის კაცებს.

მარქსი და ენგელსიდან იწყება მეცნიერული სოციალიზმი ანუ მუშა ხალხის სოციალიზმი—პროლეტარული სოციალიზმი. ამათ მოძღვრებას მეცნიერული იმიტომა ჰქვია, რომ მათ თვისი სოციალიზმი დაამზადეს ცხოვრების მეცნიერუ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლათ გამოკვლევაზე და საზოგადოებრივი წყობილების განვითარების კანონებზე. მუშური ანუ პროლეტარული იმიტომ ეწოდება იმათ მოძღვრებას, რომ სოციალიზმის განხორციელებისათვის ერთათ ერთ და აუცილებელ გზათ მათ მიაჩნდათ მუშა ხალხის ბრძოლა. ბრძოლას ქონებისათვის და ბრძოლას უფლებისათვის ანუ ეკონომიურსა და პოლიტიკურ ბრძოლას მარქსი და ენგელსი ერთი მეორეს არ აცილებენ, რადგანაც მათის აზრით ეკონომიურ კეთილ-დღეობას ვერც ერთი დაჩაგრული კლასი ვერ მოიპოვებს ისე, თუ მან უმალ პოლიტიკური უფლებები არ მოიპოვა.

კარლ მარქსი დაიბადა 5 მაისს 1818 წელს. ჩამომავლობით იყო ებრაელი, სარწმუნოებით კი ქრისტიანი. პატარა მარქსი სასწავლებელში ძალიან ნიჭიერი და ამასთან დაუდგრომელი ბავში იყო. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის გადვიდა უნივერსიტეტში. უნივერსიტეტის კურსი ისე კარგათ დაამთავრა, რომ პროფესორათ უპირებდენ დატოვებას, მაგრამ პროფესორის მშვიდი ცხოვრებისათვის მარქსი არ იყო დაბადებული, ის მოძრავმა ცხოვრებამ გაიტაცა და სარევოლიუციო მოღვაწეობას მოჰკიდა ხელი. გერმანიაში მან გამოსცა გაზეთი, რომელიც მალე მიუხურეს. მთავრობამ მარქსს დევნა დაუწყო და აქედან ის გადვიდა პარიზში, საცა გაიცნო ფრიდრიხ ენგელსი. ამ დღიდან ისინი დამეგობრდენ და ერთმანეთს აღარ დაშორებიან; ამ ორ ადამიანში ერთი სული და ერთი გული იყო მოთავსებული. პარიზში რამდენიმე ხანს მუშაობდენ მარქსი და ენგელსი სარევოლიუციო ასპარეზზედ. შემდეგ წავიდენ ლონდონში, რომ კომმუნისტური პარტიის დაარსებაში მონაწილეობა მიეღოთ. მათ მიანდვეს ამ პარტიისათვის პროგრამის დაწერა და რამოდენიმე თვის შემდეგ მათ გამოსცეს კომმუნისტური პარტიის მანიფესტი, რომელიც საფუძველს შეადგენს დღეს ყველგან მუშათა პარტიის პროგრამისას.

1848 წელს საფრანგეთში რევოლიუციამ იფეთქა და მარქსი აქეთ გამოეშურა, მარქსი გერმანიაში გადმოვიდა და აქ დაიწყო მუშაობა თუ სიტყვით, თუ კალმით. როცა გერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მანიაში რეაქცია დადგა, მარქსმა ისევ პარიზს მიაშურა, მაგრამ საფრანგეთის მთავრობამ ის გააძევა და მარქსი ლონდონში წავიდა. ლონდონში მარქსი შეუდგა მეცნიერულ შრომას და აქ მან დასწერა თავისი შესანიშნავი ,,კაპიტალი'', რაც პროლეტარული სოციალიზმის მეცნიერულ საფუძველს წარმოადგენს. 1864 წელს ლონდონში დაარსდა საერთაშორისო მუშათა კავშირი ანუ ინტერნაციონალი და მას დიდხანს მეთაურობდა მარქსი, სანამ ინტერნაციონალი ამერიკაში არ გადიტანეს. შეუწყვეტელმა შრომამ მარქსი მალე მოსტეხა და ის 1883 წელს გარდაიცვალა.

ფრიდრიხ ენგელსი დაიბადა გერმანიაში 1820 წელს. საშუალო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ ის წავიდა ინგლისში, საცა ვაჭრობას მოჰკიდა ხელი და ამავე დროს გაზეთში თანამშრომლობდა. ინგლისმა ენგელსს ძალიან დიდი სარგებლობა მოუტანა მით, რომ აქ მან საუცხოოთ შეისწავლა მუშა ხალხის ყოფა-ცხოვრება. ინგლისიდან ენგელსი წამოვიდა პარიზში და ის დაუმეგობრდა მარქსს. მარქსი და ენგელსი უერთმანეთოთ ვერ შექმნიდენ იმ მოძღვრებას, რომელიც დღეს ორივეს სახელს ატარებს და მუშა ხალხის ათ მცნებას შეადგენს. როცა გერმანიაში სარევოლიუციო მოძრაობა დაიწყო და მარქსმა გერმანიას მოაშურა, ენგელსიც მას გაჰყვა. მარქსი აგიტაციით ემსახურებოდა რევოლიუციას, ენგელსი კი იარაღით. გერმანიაში რამდენიმე ალაგას შეიარაღებული აჯანყება მოხდა და ენგელსი იარაღით ხელში იბრძოდა სხვებთან ერთად, მაგრამ მთავრობამ გაიმარჯვა და ენგელსი შვეიცარიაში დაიმალა. ამას შემდეგ მარქსი და ენგელსი რამდენიმე ხნით კიდევ შეხვდენ ერთი-მეორეს ინგლისში. ორივე დარწმუნდენ, რომ ახლო მომავალში რევოლიუცია აღარ მოხდებოდა, ნაძალადევ აჯანყებას ისინი არავითარ მნიშვნელობას არ აძლევდენ და ამიტომ მარქსი შეუდგა მეცნიერულ შრომას, ენგელსი კი მანჩესტერში წავიდა. ისინი დიდი ხნით დაშორდნენ ერთიმეორეს, მაგრამ ერთმანეთთან მიწერ-მოწერა არ შეუწყვეტიათ და ყოველთვის აზრსა და შეხედულებას ერთი მეორეს უზიარებდენ. საზოგადოთ ამგვარი მეგობრობის

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითი ძალიან ცოტაა ისტორიაში. 1870 წელს ენგელსიც ლონდონში დასახლდა და მარქსთან ერთათ განაგრძო შრომა. ენგელსს ბევრი აქვს ამ დროის განმავლობაში დაწერილი, მაგრამ საუკეთესოა მისი წიგნი „ანტიდიურინგი“, საცა მას ყოველმხრივა აქვს დასაბუთებული თავისი და მარქსის ახალი მოძღვრება. მარქსმა მოასწრო თავის სიცოცხლეში კაპიტალის პირველი ტომის გამოცემა. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ენგელსმა გამოსცა კაპიტალის მეორე ტომი და მესამე ტომის დამზადებას ენგელსი რამოდენიმე წელიწადს მოუნდა, რადგანაც მარქსმა მესამე ტომის მხოლოდ გეგმის დაწერა მოასწრო და ამ გეგმით ენგელსმა შეადგინა მთელი წიგნი. 1895 წელს ენგელსს გაუჩნდა საყლაპავ მილში კიბო და გარდაიცვალა.

უტოპისტები სოციალისტურ წყობილებას ითხოვდენ სამართლიანობის სახელით. მათის აზრით თვითონ მთავრობა და ბურჟუაზია შეუდგებოდენ სოციალიზმის განხორციელებას, რა კი მის სარგებლობასა და სამართლიანობას შეიგნებდენ. მარქსმა და ენგელსმა გამოაცხადეს: მუშა ხალხმა თუ სამართლიანობაზე, მთავრობაზე და ბურჟუაზიაზე დაამყარა თავისი იმედები, მას დიდხანს დასჭირდება ცდა და ვერაფერს ვერ ეღირსებაო. მათ მიმართეს ისტორიას და დაამტკიცეს ცხოვრებაში ყველგან და ყოველ დროს არსებობს ბრძოლა სხვა და სხვა კლასთა შორის. ერთი კლასია დაჩაგრული, მშრომელი და უფლებებს მოკლებული; მეორეა დამჩაგვრელი, მუქთა ხორა, გაბატონებული და უფლებების პატრონი. მმართველობა ანუ პოლიტიკური ძალა არის გაბატონებული კლასის ხელში და ამიტომ ყოველი მთავრობა ყოველ დროს გაბატონებული და გალაღებული კლასის დამცველია. გაბატონებული კლასი სცხოვრობს დაჩაგრული კლასის ოფლით; ეს უკანასკნელი შრომის უღელშია მთელი თავისი სიცოცხლე და მიუხედავათ ამისა ყოველისფერს მოკლებულია, პირველი კი არაფერს აკეთებს და მუდამ კმაყოფილებასა და ფუფუნებაშია. ამაზე ამბობენ: ბატონები დაჩაგრული ხალხის ცარცვა-ყვლეფით სცხოვრობენო. ამგვარი მდგომარეობა იწ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვევს მტრობასა და სიძულვილს ამ კლასთა შორის; მტრობა კი იწვევს ბრძოლას. ამ კლასთა შორის მუდამ შეუწყვეტელი ბრძოლა არსებობს. წინეთ დაჩაგრულებს შეადგენდენ ყმები, დამჩაგვრელებს თავად-აზნაურობა. დღეს დაჩაგრულებს შეადგენს მუშა ხალხი, დამჩაგვრელებს ბურჟუაზია. მარქსი თავის კაპიტალის პირველ ტომში ამტკიცებს, რომ ბურჟუაზია მდიდრდება მუშა ხალხის შრომით და ამიტომ ბრძოლა ამ ორ კლასს შორის აუცილებელია, რადგანაც ბურჟუაზიის ინტერესი მოითხოვს მუშა ხალხის ყვლეფას, მუშა ხალხის ინტერესი კი მოითხოვს ამ ყვლეფის მოსპობას. წარმოების ყველა საშუალება—მიწა, მანქანები, ქარხნები, ფაბრიკები, მადნები, კაპიტალი, რკინის გზები, ტელეგრაფი, ტელეფონი, გემები და სხვ. რომ მუშა ხალხის საერთო, საზოგადო საკუთრებას შეადგენდეს, მაშინ მუშა ხალხი თვითონ იქნება თავისი ნაწარმოების ბატონ-პატრონი, თავისი შრომით ისვე ისარგებლებს სრულათ და მაშინ ბურჟუაზიის მიერ ყვლეფისაგან განთავისუფლებული იქნება; მაგრამ დღეს წარმოების ყველა საშუალება შეადგენს ბურჟუაზიის კერძო საკუთრებას. მაშასადამე ცხადია, რომ მუშა ხალხმა ბურჟუაზიას უნდა გამოაცალოს წარმოების ყველა საშუალება ხელიდან და გახადოს ის მთელი მშრომელი ხალხის საერთო საკუთრებათ. ამის განხორციელება ანუ ამგვარი ექსპროპრიაცია მარქსისა და ენგელსის აზრით შეუძლებელია, თუ მუშა ხალხი არ ებრძოლა ბურჟუაზიას და არ დაამარცხა ის. ბურჟუაზიას იცავს მთავრობა თავისი თოფ-ზარბაზნებითა და ჯარით. მაშასადამე მუშა ხალხმა უნდა გამოუცხადოს მთავრობას ბრძოლა და, როცა ის მთავრობას დაამარცხებს და მას ხელიდან თოფ-ზარბაზნებსა და ჯარს გამოჰგლეჯს, მაშინ ბურჟუაზიაც დამარცხებული იქნება, მუშა ხალხი ადვილათ გარდაქმნის ცხოვრებას და შემოიღებს საერთო საკუთრებას საერთო სავალდებულო შრომისათვის. ამ ახალ საზოგადოებრივ წყობილებას, რომელიც მუშა ხალხმა უნდა განახორციელოს თავისი ბრძოლით, ეწოდება სოციალისტური წყობილება. ამ ახალს წყობილებაში მდიდარი და ღარიბი, თავადი და გლეხი, მუშა და ბურჟუა, ბა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ტონი და მოსამსახურე, მუქთაყლაპიები, დაჩაგრული და დამ-ჩაგვრელი, მთავრობა და ქვეშევრდომი აღარ იქნება. აქ თავისი მდგომარეობით და ქონებით ყველა სწორი და ტოლი იქნება, სწავლა-განათლება და შრომა ყველასათვის სავალდებულო იქნება, წარმოების ყველა საშუალება საერთო იქნება და ამგვარ პირობებში საერთო შრომა იმდენს ნაყოფს გამოიღებს, რომ ყველას საკმაო ექნება ყოველისფერი; დღეს რომ უმრავლესობას უმეცრებასა და სიღატაკეში ამოსდის სული და უმცირესობა კი აუარებელი შეძლებისა გამო გარყვნილების მეტს არას აკეთებს, ამას სოციალისტურ ცხოვრებაში ალაგი აღარ ექნება და ტკბილათ ცხოვრება, კეთილდღეობა და ზომიერი კმაყოფილება ყველასათვის ერთნაირათ ხელმისაწდომი გახდება.

ძნელია ამ გვარი წყობილების განხორციელება, ამას დიდი მომზადება და ბრძოლა უნდა. ერთის გადახტომითა და მიხლა-მოხლით ამგვარი საქვეყნო საქმე არ გაკეთდება და ამიტომ მარქსი და ენგელსი თავის კომმუნისტურ მანიფესტში არიგებენ მუშა ხალხს, თუ როგორ უნდა მოემზადოს და როგორ უნდა იბრძოდეს ის. სოციალისტური მოძრაობა დღეს ევროპაში ძლიერია. სოციალისტები სხვა და სხვა ჯგუფებათ განიყოფებიან. მარქს-ენგელსის მიმდევარები შეადგენენ სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ამ გვარი პარტია როგორც რუსეთში, ისე ევროპის სხვა და სხვა სახელმწიფოშიც არის. პარტიასა აქვს საკუთარი პროგრამა. პროგრამა განიყოფება ორ ნაწილათ; პირველი ნაწილი გამოხატავს პარტიის საბოლოო მიზანს და მას ეწოდება პროგრამა-მაქსიმუმი; აქ დასაბუთებულია, რომ სოციალისტური წყობილების განხორციელება აუცილებელია და ყველა დაჩაგრულისა და მშრომელის სრული განთავისუფლება და კეთილდღეობა მხოლოთ ამგვარ წყობილებაში არის შესაძლებელი. მეორე ნაწილი გამოხატავს მახლობელ მიზანს და მას ეწოდება პროგრამა-მინიმუმი; აქ ჩამოთვლილია და განმარტებული ყველა ის ცვლილებები, რომლების განხორციელება დღესვეა საჭირო, რომ მუშა ხალხმა ძალა მოიკრიბოს და თავის საბოლოო მიზანს მიუახლოვდეს.

ეროვნული ბიბლიოთეკა

პროგრამა მინიმუმი ითხოვს მაგ. საყოველთაო, ფარულ, პირდაპირსა და თანასწორ ხმის უფლებას, წოდებათა გაუქმებას, პიროვნების ხელშეუხებლობას, სინიდისის, სიტყვის, წერის, კრების, კავშირებისა და გაფიცვის სრულ თავისუფლებას, საყოველთაო სავალდებულო განათლებას, ჯარის გაუქმებას და მის ალაგას მთელი ხალხის შეიარაღებას, რვა საათის სამუშაო დღეს, საეკლესიო, სახელმწიფო, საუფლისწულო და მსხვილი მემამულეების მიწების ჩამორთმევას მიწის მუშათა სასარგებლოთ და სხვ. და სხვ.

ი. გომართელი.



ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ისტორია.

ერნესტ ლავისისა

წიგნი III

ახალი დროება

თავი VIII

პრუსიის სამეფოს შედგენა.

136. ბრანდენბურგი და პრუსია.—1. პრუსიის სამეფო ახალი სამეფოა. 2. ეს სამეფო შესდგა ორის ქვეყანისაგან, ბრანდენბურგისა და პრუსიისაგან, რომელიც ერთის მეფის ხელში შეერთდა.

3. ბრანდენბურგი ქვიშიანი ქვეყანაა, ბერლინის გარემო მდებარე. შუა საუკუნეებში გერმანელებმა ეს ქვეყანა წარმართ სლავიანებს წაართვეს და სამარკგრაფოდ *) გაიხადეს. 4. 1417 წ. ერთი ზემო-გერმანელი თავადი ჰოჰენცოლერნის გვარისა, ბრანდენბურგის მარკგრაფად გახდა.

5. პრუსია ჭაობიანი ქვეყანაა რუსეთის გვერდით, რომელიც ტევტონის ორდენის რაინდებმა მე XIV საუკუნეში დაიპყრეს. 6. მერე ამ ორდენის დიდმა მოძღვარმა, ისიც ჰოჰენცოლერნის გვარისა, მიიღო პროტესტანტობა 1525 წ. და პრუსია საჰერცოგოდ გამოაცხადა. 7. 1617 წ. ბრანდენბურგის მარკგრაფმა მემკვიდრეობით შემოიერთა პრუსია.

8. მისმა მემკვიდრეებმა დაიჭირეს მრავალი ქალაქი და ჰატარა პროვინცია გერმანიის სხვადასხვა მხარეს, მეტადრე

---

*) სამარკგრაფო ან სამარკიზო; მარკა—სანაპირო მაზრა; მარკგრაფი ან მარკიზი—მარკის ბატონი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რეინის პირზე. 9. 1701 წ. ბრანდებურგის ელექტორმა *) იყიდა კეისრისაგან პრუსიის მეფის წოდება.

137. პრუსიის სახელმწიფო.—10. პრუსიის სამეფო ერთიანი ქვეყანა როდი იყო, როგორც მაგალითად საფრანგეთი. 11. არამედ ცალ-ცალკე პროვინციებისაგან იყო შედგენილი. ასე რომ პრუსიის მეფე ერთს თავის პროვინციიდან მეორეში რომ წასულიყო, სხვის სახელმწიფოზე უნდა გაევლო.

12. ყველა ეს პროვინციები მორჩილებიდან რომ არ გასულიყვნენ, პრუსიის მეფეს ძალიან ერთგული მოხელეები უნდა ჰყოლოდა. 13. და მათის დასაცველად ძლიერი ჯარი იყო საჭირო. 14. მეფეს ფრიდრიხ-ვილჰელმ I-ს (მოკვდა 1740) ჰყვანდა 60000 სალდათი. ეს მეფე ყველგან ეძებდა მაღალი ტანის კაცებს, რომ თავის ჯარში აეყვანა. თითონაც სალდათსავით სცხოვრებდა, მუდამ მუნდირში გამოჭიმული და კარს არ ინახავდა. მეფე-სერჟანტს **) ეძახდნენ.

15. სხვაგან მეფენი და მინისტრები მეტადრე იმას ფიქრობდნენ, რომ ზეიმი გაემართნათ და ქვეყნის შემოსავალს კარის შენახვას ანდომებდნენ. 16. პრუსიაში კი მეფესა და მის მინისტრებს მხოლოდ ერთი აზრი ჰქონდათ: გაძლიერებული ყოფნენ, რომ სამეფო გაედიდებინათ. 17. კარს არ ინახავდნენ და

---

*) ელ ქტორი—ომომრ ჩეველი. წოდება გერმანიის ათის მთავრისა, რომელნიც ირჩევდნენ კეისარს.

**) სერჟანტი—უნტერ-ოფიცერი.

1. პრუსიის სამეფო ძველია?—2. რისგან შესდგა ეს სამეფო?—3. რა ქვეყანა იყო ბრანდებურგი?—4. ვინ იყვნენ ჰოჰენცოლერნები?—5. რა იყო პრუსია?—6. როგორ გახდა პრუსია საჰერცოგოდ?—7. ვინ დაემკვიდრა პრუსიას? როდის?—8. რა ჰქნეს ბრანდებურგის მარკგრაფის მემკვიდრეებმა?—9. როგორ გახდა ბრანდებურგის ელექტორი პრუსიის მეფედ?—10. პრუსიის სამეფო ერთიანი ქვეყანა იყო?—11. როგორ იყო გაბნეული ამ სამეფოს პროვინციები?—12. რა იყო საჭირო პრუსიის მეფისათვის სამეფოს სამართველად?—13. რა იყო საჭირო მის დასაცველად?—14. რას შვრებოდა ფრიდრიხ ვილჰელმი? როგორ სცხოვრებდა?—15. როგორ იქცეოდნენ სხვა ქვეყნების მეფენი?—16. რა უნდოდათ პრუსიის მეფეებს?—17. რას უშვრებოდნენ თავიანთს ფულს?

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფულს აგროვებდნენ. ამიტომაც პრუსია ძლიერი სახელმწიფო შეიქმნა.

138. დიდი ფრიდრიხი.—1. ფრიდრიხ II (1740—1785 წ.) პრუსიის მეფეებს შორის ყველაზედ ხერხიანი იყო და მის დროის უდიდესი ადამიანთმოყვარი. 2. ამას გარდა მეცნიერების და მწერლების მეგობარი იყო, მეტადრე საფრანგეთის მწერლებისა: თითონაც იცოდა ფრანგული და ფრანგულად წერა უფრო ეხალისებოდა, ვინემც გერმანულად. 3. მოსწონდა პოტსდამში ცხოვრება, ბერლინის ახლო მდებარე სოფელში, საცა კარის კაცები არ ახლდნენ და ყოველთვის აფიცრის მუნდირი ეცვა.

4. ფრიდრიხის უპირველესი სურვილი სამეფოს გაფართოება იყო და არცერთს უსვინიდისო ღონისძიებას არ ერიდებოდა მაგ განზრახვის მისაწევად. 5. როცა კეისარი კარლო VI მოკვდა, ფრიდრიხი თავის ჯარით შეესია ავსტრიის პროვინციას სილეზიას; დაიპყრა (1741 წ.) და კარლო VI-ის ქალი, მარია-ტერეზია, აიძულა დაეთმო მისთვის ეგ მხარე.

6. მარია ტერეზიამ დააპირა სილეზიის დაბრუნება და 1756 წ. დაეკავშირა საფრანგეთს, რუსეთს, შვეციას და გერმანიის მთავრებს. 7. მაშინ დაიწყო შვიდ წლის ომი. 8. ავსტრიელები, რუსები, ფრანგები და შვედები შემოვიდნენ პრუსიაში ოთხისავე მხრიდან; ფრიდრიხი თავის ჯარით ხან ერთს მტერს დაუხვდებოდა, ხან მეორეს; მისი ჯარი მხნედ და სწრაფად მოძრაობდა და თითქმის ყველგან იმარჯვებდა. 9. ბოლოს, მარია-ტერეზია დაეზავა ფრიდრიხს, რომელმაც შეინარჩუნა სილეზია (1763 წ.).

10. მას შემდეგ ფრიდრიხ II სცდილობდა დაეყოლიებინა რუსეთის იმპერატრიცა ეკატერინე II, რომ გაეყოთ თავიანთთვის ბოდიანეთი. 11. 1772 წ. წაართვა პოლონეთს ერთი ბრიგანტია და ამით შეაერთა თავის სახელმწიფოს ორი გაცალკევებული ნაწილი. 12. ფრიდრიხის გამეფებისას 1740 წ. პრუსიას ჰქონდა მხოლოდ ორ მილიონ ნახევარი მცხოვრები. მის სიკვდილის დროს კი 1785 წ. მის სამეფოში ითვლებოდა ხუთ მილიონ ნახევარი, და ბრუსიის ჯარი ევროპაში საუკეთესო ჯარად იყო მიჩნეული.

ეროვნული ბიბლიოთეკა

1. ვინ იყო ფრიდრიხ II?—2. ვისი მეგობარი იყო?—3. სადა და როგორ სცხოვრებდა?—4. რა იყო მისი სურვილი?—5. რა უყო ავსტრიას?—6. ვის დაეკავშირა მარია-ტერეზია?—7. რა ჰქვიან ამ ომს?—8. როგორ სწარმოებდა ეს ომი?—9. რითი გათავდა?—10. რასა სცდილობდა მაშინ ფრიდრიხ II?—11. რა წაართვა პოლონეთს?—12. შეადარეთ პრუსიის მდგომარეობა 1740 და 1785 წ.

—

შინაარსი (ზეპირად სათქმელი)

I. პრუსიის სამეფო შესდგა ბრანდენბურგისა და პრუსიის საჰერცოგოსაგან, რომელნიც 1617 წ. შეერთდნენ ჰოჰენცოლერნების ხელში და 1701 წ. სამეფოდ დაარსდნენ.

II. პრუსიის მეფეებს ძალიან ერთგული მოხელეები ჰყოლნდა და ძლიერი ჯარი. მეფეები ფულს აგროვებდნენ და სცდილობდნენ მეტად-რე თავიანთ გაძლიერებას, რომ სამეფო გაევრცელებინათ.

III. ფრიდრიხ II დიდი (1740—1785 წ.), დიდი დაშქართ მთავარი და ხერხიანი და უსვინიდისო პოლიტიკი იყო. ამან წაართო ავსტრიას სილეზია (1741 წ.) და შვიდი წლის ომით შეინარჩუნა ეს პროვინცია, შეერთებული ევროპის წინააღმდეგ.

IV. ფრიდრიხ II-ემ გადასწყვიტა პირველი გაყოფა პოლონეთისა და მიითვისა ერთი პროვინცია.

V. მის მეფობაში პრუსია ერთი-ორად გაიზარდა.

ალ. სარაჯიშვილი.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიილება ხელის მოწერა 1908 წლისათვის.

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

ი ს ა რ ი

გ ა ზ ე თ ი ღ ი რ ს;

ერთის წლით:		ნახევარის წლით:	
თფილისში.	6 მ. 50 კ.	თფილისში.	4 მ. — კ.
თფილისის გარედ	7 „ — „	თფილისის გარედ	4 „ 50 „
საზღვარ-გარედ	12 „ — „	საზღვარ-გარედ	6 „ — „

ერთის თვით:

თფილისში. — 75 კ. თფილის გარედ — 80 კ. საზღვარ-გარედ 1 მ. 50 კ.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური.

ხელის მოწერა შეიძლება:

ტფილისში: 1. „ისრის“ რედაქციაში (ელისაბედის ქ. № 1, მილოვის სახლი). 2. „ქ. შ. წ.-კ. გ. საზოგ.„ წიგნის მაღიზიაში შიო ქუჩუკაშვილთან (სასახლის ქ.) **ქუთაისში**: ისიდორე კვიცარიძესთან (კოლხიდის ამხანაგობაში). **ბათუმში**—ხომერიკთან, ჭოროხში. **ყვირილაში**—ლ. ლეჟავასთან. **თმლავში**—ივ. პაატაშვილთან. **ჭიათურაში** სოფრომ ტარიელოვთან, ჭიათურის ბანკში. **ბაქოში**: გიორგი ჩხეიძესთან (ჭინჭარაძის და ჩხეიძის მაღაზიაში).

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція газ. „ИСАРИ“.

Продолжается подписка на 1908 годъ

На большую общественно-политическ. и литературную газету.

„ЗАКАВКАЗЬЕ“

Второй годъ изданія.

ПОДПИСНАЯ ЦѢНА: до конца года 7 руб., на 6 мѣс.—5 руб., помѣсячно 1 р. Допускается разсрочка для годовыхъ подписчиковъ: при подпискѣ —3 рубля, къ 1-му мая—3 рубл и къ 1-му августа—2 р. За границу—вдвое: Плата за объявенія: 1) отъ тифлисскихъ объявителей впереди текста за строку петита 15 коп., послѣ текста—8 коп. 2) отъ иногородныхъ объявителей впереди текста строка петита—30 коп., позади текста—15 к.

Тифлисъ, Головнинскій пр. д. № 37.

Телефонъ редакціи и конторы № 58.

Редакторъ-издатель П. А. ГОТУА.

n 401/1

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯეჯილი

საუმაწვილო ნახატებიანი ჟურნალი

(მეთვრამეტე წელიწადი)

მიიღება ხელის მოწერა 1908 წლისათვის

გამოვა თვეში ერთხელ. ჟურნალში ორი განყოფილებაა: პატარებისათვის და მოზრდილ ყმაწვილებისათვის. თითო წიგნში იქნება არა ნაკლებ ოთხამდე ფურცელი, ანუ 64 გვერდი.

ჟ ურ ნ ა ლ ი „ ჯ ე ჯ ი ლ ი“

თბილისში ეღირება 4 მან.	ქალაქ გარეთ გაგზავნით 5 მ.
ნახევარი წლით . . 2 „	ცალკე ნომერი . . . . —40 კ.

ქალაქ გარეშე მცხოვრებლებს შეუძლიანთ მიმართონ **ქუთაისში** ნ. ილ. მღვდლიევისას და წიგნის მაღაზიას „კოლხიდა“. **ბათუმში** წიგნის მაღაზიას „მეგობარი“, **ოზურგეთში** წიგ. მაღ. „იმედი“, დაბა **ხონში** მასწ. გ. ბოკერიას, **ახალსენაკში** წიგ. მაღ. „სინათლე“, **სამტრედიაში** გ. ფოცხვერიას, **ყვირილაში** წიგ. მაღ. ალ. ბაჩეჩილაძეს, **ბაქოში** ქართ. თეატრში ი. თედეშვილს, **ჭიათურაში** ვ. მოლეშვილს.

თბილისში ხელის მოწერა მიიღება: წერა-კითხვის საზკანცელარიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში: არტილერიის ქუჩა, № 5, კადეტის კორპუსის გვერდით.

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ ред. Грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.

„ჯეჯილის“ სრული 16 წლის გამოცემა (რომელიც შეადგენს 140 წიგნზე მეტს), ეღირება გაგზავნით სხვადასხვა ქალაქებში 30 მ. თბილისში სასწავლებლებს, რომელნიც რედაქციიდან თითონვე წააღებინებენ, დაეთმობათ 25 მ. ცალ ცალკე წლების „ჯეჯილები“ თითო წლისა ეღირება 2 მ.

რედ.-კამპმტემელი ან. **თუმანიშვილი-წერეთლისა.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა